# საერთო გაზეთი

№30 (535) • 4 სექტემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## 2008 წლის აგვისტოს ომის შავი ბუღალტერია



შემზარევი ფაქტები, თუ როგორ გაყიდეს სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ მილიონებად სამაჩაბლო და კოდორის ხეობა

ნულოვანი ტოლერანტობა „ნაცმოძრაობას“ და მის განაყოფებს!

**დაუყოვნებლივ დაიჭირეთ გიგა ბოკერია აგვისტოს ომის მთავარი „ბუღალტერი“!**

გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნა - ბოლო ლურსმანი კვირიკაშვილ-ხაზარაძის პოლიტიკურ „კუბოზე“

**„თბილისური მაფია“ საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ**

ყველა ლიდერი, რომელმაც 20-21 ივნისს ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, აქციების შემდეგ, როცა დაჭერები დაიწყო, ყველა მოსკოვში გაფრინდა

**ჟურნალისტი, როგორც ფსიქოტერორისტი, ტელევიზია, როგორც სახელმწიფო გადატრიალების იარაღი**

**საუკუნის ძარცვა**

შევარდნაძის მიერ მოწყობილი საბანკო პუტჩი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა მთლიანად გააკოტრა და გააღატაკა

**ჩასაძირად განწირული გემიდან პირველები ვირთხები გარბიან!**

თუ ამერიკაში ორი რამ არის ისეთი, რაც გადავადებას არ ექვემდებარება - სიკვდილი და გადასახადები, საქართველოში, მთავარია, არ მოკვდე, თორემ გადასახადები შეიძლება უსასრულოდ გადაგივადონ

**დღეს კაცობრიობა უფრო ავადაა, ვიდრე 30 წლის წინათ იყო**

## სამთავრობო ცვლილებები პროვოკაციების ფონზე






ის, რაც დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხდება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა და ყოველივე ამას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, თორემ, ხომ ხედავთ, ელენე ხოშტარიას პირში და სალომე სამადაშვილს პირში „შვიშტოკიც“ კი ლამის საბრძოლო იარაღად იქცეს.

# გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნა – ბოლო ლურსმანი კვირიკაშვილ-ხაზარაძის პოლიტიკურ „კუბოზე“



გავრცელებული ხმების მიხედვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილებოდა — გიორგი გახარია და მაია ცქიტიშვილი, მაგრამ იმ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტად უკვე გვყავს ქალბატონი, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პრემიერ-მინისტრადაც ქალბატონი დაინიშნებოდა.

„— პრეზიდენტი — ქალბატონი! პრემიერ-მინისტრი — ქალბატონი! ბარემ პარლამენტის თავმჯდომარედაც ქალბატონი ავირჩიოთ, ჩვენ კი, მამაკაცები, წავალთ და დომინოს ვითამაშებთ“, — იხუმრა ერთმა მოქალაქემ სოციალურ ქსელში, რითაც ზუსტად გამოიხატა მამრობითი სქესის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობის კრიტიკული განწყობა მსგავსი გადაწყვეტილებისადმი.

გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრად — ეს არის უკანასკნელი ლურსმანი მამუკა ხაზარაძის „კუბოზე“, რომელშიც მარტო ბატონი მამუკა არ წევს — მის გვერდით რამდენიმე პატივცემული და თავის დროზე ფრიად წონიანი გვამი „განისვენებს“.

მხოლოდ ერთ მათგანს დავასახელებ და მიხვდებით, როგორი ძვირფასი „კუბოა“ ეს კუბო.

გიორგი კვირიკაშვილი — ყოფილი პრემიერი, ხაზარაძის მეგობარი და ამ „კუბოს“ მთავარი თანამობინადრე, რომელიც, როგორც ირკვევა, ხაზარაძესთან ერთად ყველა იმ მიტინგის თუ აქციის უკან იდგა, რომლებიც გიორგი გახარიას წინააღმდეგ პერმანენტულად იმართებოდა.

ეს 20 ივნისის შემდეგ მიაბეს გიორგი გახარიას სახელი რუსეთს და ოკუპაციას და წარმოუდგენლად ბრიყვული ლოზუნგი გადმოაგდეს: „გახარია, წადი! არა ოკუპაციას!“ თორემ მანამდე დაბოლილი ნაჯები, დაბოლილი ქაჯები და ყვაჯები შეესივნენ პარლამენტის შენობას გახარიას გადადგომის მოთხოვნით: — როგორ ბედავს გახარია და კაიფს როგორ გვიშლისო.

„ბასიანის ომის“ სახელით შევა საქართველოს ისტორიაში ნარკომანთა, ნარკოდამოკიდებულთა, ნარკობარიგათა და ნარკომაფიათა მრავალრიცხოვანი „ლაშქრის“ „სახელოვანი“ ომი ერთი კაცის, გახარიას დასამარცხებლად.

მაშინაც კვირიკაშვილი და ხაზარაძე იდგნენ ამ ლაშქრის უკან და ისინი აქეზებდნენ დარეტიანებულ ლაშქარს, გახარიას წინააღმდეგ უკანასკნელ „მასტერკამდე“ ებრძოლათ.

მერ იყო ტრაწისფერქურთუკიანი მთვრალი პოეტის ინციდენტი პოლიციელებთან, რომლებიც შექმნილ რთულ სიტუაციაში უცებ ვერ გაერკვნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე — მთვრალ პოეტთან თუ მთვრალ ხულიგანთან, რომელიც სრულიად უმოტივაციოდ და უმიზეზოდ, პოლიციელებს რატომღაც 85 წლის პატრიარქს უგინებდა უშვერი სიტყვებით: — თქვენი პატრიარქი ასე და ისეო...

პოლიციელები ვერ მიხვდნენ, რატომ იყო პატრიარქი მხოლოდ და მხოლოდ მათი და ამის გასარკვევად მოქალაქე, რომელსაც თავკონტროლი ჰქონდა დაკარგული და აშკარად „ბელაია გარიაჩკას“ ნიშნები აღენიშნებოდა, განყოფილებაში მიაბრძანეს, სადაც მოგვიანებით გაირკვა, რომ მთვრალი მოქალაქე ხულიგანი კი არა პოეტი იყო.

— პოეტი და რა პოეტიო... გენიოსიო... თანამედროვეობის უდიდესი შემოქმედიო... როგორ გაბედეთ და თითი როგორ დააკარეთ... გადადგეს გახარიაო — გამოცვივცდნენ, მარა რა გამოცვივდნენ ხაზარაძის მიერ უხვად დაფინანსებული „უბორნიის პოეტები“ და ლიტერატურული მნძრეველები ლუციფერის კანტორის — „რუსთავი-2“-ის „ტელეფორთოჩკიდან“ და გახარია კინაღამ ცოცხლად შეჭამეს.

მოგვიანებით ხაზარაძემ რაღაც ერთგვერდიანი ტექსტი ააფრიალა საჯაროდ და სახალხოდ — ეს არის მუქარის წერილი, რომელიც გახარიამ გამომიგზავნაო.

ტექსტს არც გახარიას ხელმოწერა ახლდა, არც სხვა რაიმე დამადასტურებელი ნიშანი ჰქონდა, რითაც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მუქარის წერილი მართლაც გახარიას ეკუთვნოდა, მაგრამ ეგ არაფერიო, — თქვა ხაზარაძემ — ლონდონში გავაგზავნი ექსპერტიზაზე და იქ თითის ანაბეჭდების მიხედვით, აუცილებლად დადგინდება, რომ წერილი გახარიას გამოგზავნილიაო.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ლონდონიდან ჩამიჩუმი არ ისმის...

მერე იყო პანკისი, სადაც რომელიღაც უჩინარი ძალის მიერ გახელებული ქისტები, ქალიან-კაციან-ბავშვიანად, ქვებით და კეტებით შეიარაღებულნი, სპეცრაზმელებს რომ მიეჭრნენ და რომ არა გახარიას გონივრული ნაბიჯები, შეიძლება პანკისში დიდი უბედურება დატრიალებულიყო.

რუსეთს დაბრალდა ამ ინციდენტის პროვოცირება, თუმცა პარალელურად ისიც ითქვა, რომ ეს პროვოკაცია რუსებმა კი არა, სწორედ ქართველებმა „გაუჩალიჩეს“ გახარიას და „გამჩაღებლებში“ ისევ და ისევ კვირიკაშვილ-ხაზარაძის დუეტი სახელდებოდა.

ამასობაში თბილისი პრაიდის ჩატარების თარიღიც მოახლოვდა. ოპოზიციური პარტიები, ძირითადად, „ნაცმოძრაობა“ და მისგან ფორმალურად გამოყოფილი მისი პოლიტიკური ნაბიჭვრები, მათთან სარეცელში Aშეკოტრიალებული ლგბტ თემთან ერთობლივად, უკიდურესად სახიფათო ახალ პროვოკაციას გეგმავდა, რომლის მიზანი იყო მორალურად და ფსიქოლოგიურად წელში გადაეტეხა საქართველო.

გადამწყვეტი როლი ამ პროვოკაციის აღკვეთაში ისევ და ისევ გიორგი გახარიამ ითამაშა, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ შსს თბილისი პრაიდის უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა.

ჩაშლილ პრაიდს მალევე მოჰყვა 19 ივნისის პოლიტიკური პერფორმანსი, პირობითი სახელწოდებით „რა უნდოდა გავრილოვის უკანალს კობახიძის სავარძელში?“

სამწუხაროდ, დღემდე არავის გამოუძიებია დეტალურად, „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ გაერთიანებული ბალაგანის წევრთა გარდა „ქართული ოცნებიდან“ ვინმე ხომ არ მონაწილეობდა ამ ცინიკური პერფორმანსის დადგმაში. თუ ეს ასე იყო, ვინ არიან პერსონალურად ის ადამიანები „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდიდან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნისთვის უაღრესად სახიფათო ამ პროვოკაციის ხორცშესხმას?

19 ივნისის „პერფორმანსს“ 20 ივნისის ღამე მოჰყვა, რომელიც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეფასდა!

ჯერ კიდევ ამოუხსნელი საიდუმლოებებით სავსე ეს ღამე ძალიან ჰგავს პანკისში ჩაფუშული პროვოკაციის გაგრძელებას ისე, როგორც ჰგავს „ბაასიანის“ ამბებთან და თბილისი პრაიდთან დაკავშირებულ მოვლენებს.

თითქოს რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ერთი სპექტაკლის ფრაგმენტებია, რომლებსაც ერთი და იგივე რეფრენი გასდევს: გადადგეს გახარია!

**საოცარია, არა? ამ სახელმწიფოში ერთი გახარიას მეტი სხვა არავინ იყო, რომ ყველაფერზე გახარია უნდა გადამდგარიყო, ყველაფრის გამო გახარია უნდა წასულიყო, ყველას ნაცვლად გახარიას უნდა აეღო პასუხისმგებლობა?**

გონებაჩლუნგმა ოპოზიციამ და კიდევ უფრო გონებაჩლუნგმა მათმა ლიდერებმა თვითონვე დაადასტურეს, რომ გიორგი გახარია ისეთი პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც თურმე ალტერნატივა არ ჰყავს.



**აღმოჩნდა, რომ „გახარია, წადი! „გახარია, მოდის!“ ნიშნავდა.**

პროვოკაციების ერთსა და იმავე სამჭედლოში ერთი და იგივე მჭედლების მიერ გამოჭედილი პროვოკაციები მათვე მიუბრუნდა უკან ბუმერანგივით.

ეს ის მჭედლები არიან, რომლებიც თავიანთ წარუმატებლობას და ხელის მოცარვას პოლიტიკისა თუ ბიზნესის სფეროში პირდაპირ და უშუალოდ გიორგი გახარიას აბრალებენ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა გახარია ჯერ ბიზნესომბუდსმენი იყო, შემდეგ კი ეკონომიკის მინისტრი.

გიორგი კვირიკაშვილი და მამუკა ხაზარაძე — ეს არის ის ორი მჭედელი, გახარიასთვის „კანდალების“ გამოჭედვას რომ ცდილობდნენ ორი წელი, მაგრამ ამაოდ.




ეს ყველაფერი კი, როგორც ჩანს, იმით დამთავრდება, რომ გიორგი გახარიას გაპრემიერებას ბოლო ლურსმანივით დააჭედებენ კვირიკაშვილის და ხაზარაძის საძმო „კუბოს“, რომელიც უკვე ჩასასვენებლად არის გახაზირებული.

„ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა“.

**ვახტანგ ხარჩილავა**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაუალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

# სამთავრობო ცვლილებები პროვოკაციების ფონზე

## ის, რაც დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხდება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა და ყოველივე ამას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს



მამუკა ბახტაძე გადადგა. რომ გადადგებოდა (გადააყენებდნენ) ეს კარგახნით ადრე ვიცოდით. მოდით, ვაღიაროთ, შეიძლება ნიჭიერი ბიჭია, შეიძლება ქვეყნისთვის სასარგებლო იდეებიც აწუხებს (უფრო მეტად საბანკო სფეროში, რაღაც უცნაური რეგულაციები რომ შემოიღო), მაგრამ ვერ იყო ქარიზმატული პრემიერ-მინისტრი, როგორც მაგალითად, ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ, ან გიორგი გახარია იქნება. შეიძლება ეს ასაკის გამოცაა... თუმცა უფრო ხასიათს უნდა დავაბრალოთ, ის ალბათ სიბერეშიც ასეთივე იქნება – საკმაოზე მეტად გაწონასწორებული და თითქოს გაუბედავი, პერიოდულად კი დაბნეულიც.



ყოფილი პრემიერი საზოგადოების წინაშე წარსდგა მაისურით, სადაც ეწერა: „ეროვნული იდეა – განათლება“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ბახტაძე გახდეს განათლების მინისტრი და ალბათ იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მინისტრი – არის ენერგიული, აწუხებს იდეები, უკვე ჩამოუყალიბდა ურთიერთობები უცხოეთში და ასე შემდეგ.

პრემიერის გადადგომა უფრო სკანდალური იქნებოდა, რომ არა ამ ამბის უფრო სკანდალური საფანელი, ამ შემთხვევაში საინტერესო იყო ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი გახარიას მოსალოდნელი გადაადგილება მთავრობაში. ამასთან დაკავშირებით ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, ბევრი ჭორიც გავრცელდა და ბევრი მიახლოებითი სიმართლეც – ბახტაძის გადადგომამდე თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ, გახარია პრემიერ-მინისტრი იქნებოდა, ღარიბაშვილი – შინაგან საქმეთა მინისტრი, თუმცა მოგვიანებით სიტუაცია ცოტაოდენ აიჭრა, გამოჟონა ინფორმაციამ, კახა კალაძე არის ღარიბაშვილის წინააღმდეგიო. მოგვიანებით კალაძემ განაცხადა, მე და ირაკლი მეგობრები ვართ, მივესალმები, თუკი ის შინაგან საქმეთა მინისტრად გამწესდებაო. ვინაიდან საკითხი 2 სექტემბერს ვერ გაირკვა, გადავადდა 3 სექტემბრისთვის. ამავე დროს, მთელ ამ ამბავს ფონად გასდევდა „ნაციონალებისა“ და მათთან გათანაბრებული პირების ისტერიკა: ვაი, ვაი, ვაიიი... თანამდებობებზე ადამიანებს ბიძინა ივანიშვილი ნიშნავს, არაფორმალური მმართველიო. ჯერ ერთი, მე მგონი, ამათ ჯერაც არ გაუგიათ (ან გაუგიათ და ცრუპენტელობენ), რომ ივანიშვილი მმართველი პარტიის თავმჯდომარეა და ის ვალდებულია, თანამდებობებიდან გაათავისუფლოს, ან თანამდებობებზე დანიშნოს ადამიანები; მეორეც – რაკი მმართველი პარტიის თავმჯდომარეა, ის არის არაფორმალური კი არა, ოფიციალური მმართველი. „ნაციონალები“ ისევ ძველი „პლასტინკით“ უკრავენ, ისევ ძველი „პესნიით“ აბრუებენ გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას. არადა, ეს რომ იცოდე, ერთი თვალით ჩახედვაა საჭირო „სამოქალაქო განათლების ლექსიკონში“:

„მმართველი პარტია არის, რომელსაც უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში. საპარლამენტო სახელმწიფოებში არჩევნებში წარმატება, მით უფრო იქ, სადაც მმართველობის ორპარტიული სისტემა არსებობს, გამარჯვებულ პარტიას საშუალებას აძლევს, დააკომპლექტოს აღმასრულებელი ხელისუფლებაც“.

ჰოდა, რაკი ამისი უფლება ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილმა 3-ში, დილაუთენია ბნედა დასცა „ნაციონალებს: მაშ ასე, „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრად წარმოგვიდგინა **გიორგი გახარია**, თავდაცვის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს **ირაკლი ღარიბაშვილი**, შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება **ვახტანგ გომელაური**, ხოლო თავდაცვის ყოფილი მინისტრი **ლევან იზორია** უხელმძღვანელებს უშიშროების საბჭოს. გიორგი გახარიამ პარლამენტს მთავრობის განახლებული შემადგენლობა, ანუ ამ ცვლილებებით 3 სექტემბერსვე წარუდგინა და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე სხვა გადაადგილებები ან ცვლილებები არ იგეგმება. თუმცა ჯერ გასარკვევია, ვინ დაიკავებს ვახტანგ გომელაურის ადგილს, ანუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობას. შესაძლოა, აქ რომელიმე მოადგილე დაწინაურდეს მშვიდად და წყნარად. ყველა ცვლილება კარგია, მაგრამ არის ერთი „მაგრამ“... ხომ არ სჯობდა, ირაკლი ღარიბაშვილი დანიშნულიყო ისეთ



თანამდებობაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა, დაელაგებინა ურთიერთობა „ქართულ ოცნებასა“ და მოსახლეობას შორის, გაეწმინდა პარტია მავნე ელემენტებისგან, ჩამოეცილებინა სამთავრობო სტრუქტურებში შემძვრალი „ნაციონალები“, რომლებიც ყოველდღიურად ეწევიან საბოტაჟს სახელმწიფოს წინააღმდეგ. რასაკვირველია, თავდაცვის მინისტრის პოსტი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მაინც ჩამოაცილეს პარტიულ საქმიანობას და არ მისცეს საშუალება, დაალაგოს სიტუაცია მმართველ გუნდში. თუმცა ვნახოთ, დაველოდოთ, ნუ გამოვრიცხავთ (იმედია) ამ ყველაფერს მიხედავენ პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ორივე გონიერი ადამიანია. რას ვგულისხმობთ ყველაფერში, რა საკითხია, რომელიც სასწრაფო წესით უნდა გაირკვას? როგორც „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატმა გიორგი ლომიამ განაცხადა საპარლამენტო სესიაზე, დღეს საქართველოში უკვე ფინანსდება ათეულობით ახალგაზრდული ორგანიზაცია, „კმარას“ მსგავსი არაერთი წარმონაქმნი, სადაც ასწავლიან, თუ როგორ უნდა ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება. როდესაც ლომია ამ თემაზე საუბრობდა, **პარლამენტის შენობასთან გაურკვეველი წარმომავლობის ე.წ. ახალგაზრდები აპროტესტებდნენ გიორგი გახარიას გაპრემიერებას. ისინი უსტვენდნენ და ღრიალებდნენ**



**ვინმე გაგარინის, ვინმე მაქარაშვილის (მარქარიანის) მეთაურობით და სიტუაციას მართავდა გიგა ბოკერია ელენე ხოშტარიასთან ერთად.** აშკარად ჩანს, რომ 20–21 ივნისის მოვლენები არ ჩამქრალა და ეს ყველაფერი გახლავთ იმ დღეების გაგრძელება. გეგმა ასეთია: მათი წარმოჩინებით, გახარია არის ჯალათი. წარმოგიდგენიათ? **გიგა ბოკერია, რომელიც თვითონაა ჯალათი, სხვას ამკობს ასეთი იარლიყით.** ე.წ. „კმარას“ ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბება-მართვაში იხარჯება თემურ ალასანიას, მიხეილ სააკაშვილის, დავით კეზერაშვილისა და კიდევ რამდენიმე მობიზნესმენო ელემენტის ფინანსები. თუ სამართალდამცავები არ გამოიძიებენ, რა შავი ფული ტრიალებს ე.წ. ახალგაზრდების გაბინძურებაში, რა თქმა უნდა, სიტუაცია თანდათანობით უფრო გართულდება და საარჩევნოდ პიკს მიაღწევს. რაც მთავარია, **პოლიტიკური პროცესებიდან სასწრაფო წესით არის ჩამოსაშორებელი მთავარი პროვოკატორი გიგა ბოკერია.**

ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის ამ ჭკვიანური გადაწყვეტილების შემდეგ „ქართული ოცნება“ ავტომატურად შედის წინასაარჩევნო ფაზაში, ანუ ომში ავანტიურისტებთან. რასაკვირველია, სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემს კიდევ ბევრი რამე აქვს ჩაფიქრებული, ისინი მხოლოდ რუსთაველზე გაგარინ-მარქარიანების ჯდომა-სირბილით არ შემოიფარგლებიან.



იმედია, ამის შესახებ კარგად უწყიან სათანადო ორგანოებმა და შესაბამის ზომებსაც მიიღებენ. გარდა ამისა, „ქართული ოცნება“ მზად უნდა იყოს სწორი, გამართული პიარის ასამუშავებლად, რომელმაც შესაძლოა გადამწყვეტი როლიც კი ითამაშოს.

დაბოლოს... ის, რაც დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხდება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა და ყოველივე ამას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, თორემ, ხომ ხედავთ, ელენე ხოშტარიას პირში და სალომე სამადაშვილს პირში „შვიშტოკიც“ კი ლამის საბრძოლო იარაღად იქცეს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „თბილისური მაფია“ საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

## „თბილისური მაფია“ – ეს არის ანტიქართული, ქართველთმოძულე გაერთიანება, რომელმაც არ მიიღო ზვიად გამსახურდია, სხვათაშორის, არც სააკაშვილი და ახლა ბიძინა ივანიშვილს უპირისპირდება

*გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელი ბესო მიქავა.*

**– ბატონო ბესო, ბოლო პერიოდის კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებები და პროგნოზები თითქმის გაუთანაბრდა რეალურ ფაქტებს. საინტერესოა თქვენი ანალიზი დღეს, 30 აგვისტოს – 2 სექტემბრისთვის სამთავრობო ცვლილებებია მოსალოდნელი.**

– საერთოდ, გუნდზე ბევრი



რამ არის დამოკიდებული.

მაგალითად, მამუკა ბახტაძე, შესაძლოა, ძალიან კარგი კადრი იყოს, მაგრამ ვერ გადაწყვიტოს ის პრობლემები, რაც დღეს დგას, რადგან იგი დალაგებულ ქვეყანაში, ალბათ, უკეთესი პრემიერი იქნებოდა.

ახლა გამახსენდა ცხონებული ნოდარ ახალკაცი, რომელიც თავად არ იყო კარგი ფეხბურთელი, თუმცა შესანიშნავი სტრატეგოსი აღმოჩნდა. მისი დამსახურება იყო „დინამოს“ მაშინდელი გუნდის გამარჯვებები.

ეს არის ჭკუა და გამჭრიახობა, როცა სწორედ დაალაგებ სიტუაციას და შეარჩევ გუნდს კრიზისების გასანეიტრალებლად.

მე მიმაჩნია, გიორგი გახარია თავის დროზე რომ დანიშნულიყო პრემიერ-მინისტრად, დღეს ეს პრობლემები არ გვექნებოდა.

**– კვირიკაშვილის შემდგომ დანიშვნას გულისხმობთ?**

– დიახ, დიახ, „ბასიანის“ მოვლენებამდე უნდა დანიშნულიყო. მაშინ თავიდან ავირიდებდით ე.წ. კლუბურ აქციებსაც, 20 ივნისსაც და ბევრ სხვა გართულებებს.

ახლა მისი დანიშვნა, შეიძლება, დაგვიანებულიც იყოს, მაგრამ ცვლილება მაინც საჭიროა, რამეთუ მალე დაიწყება მასშტაბური შეტევა არა მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობაზე, არამედ მთელ საქართველოზე.

ადრეც აღვნიშნე და ახლა უკვე დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ დიდი საფრთხე ემუქრება მთელ კავკასიას სომხების მხრიდან. სწორედ დღეს შევიტყვე, რომ გასული წლის 30 ნოემბერს ხელმოწერილი ყოფილა რუსეთ-სომხეთის ჯარის გაერთიანება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ალყაში ვექცევით. ფაქტობრივად, სომხეთი აპირებს თავისი ინტერესებისთვის რუსეთის ჯარის გამოყენებას კავკასიაში.

რაც შეგვეხება ჩვენ: თქვენი რედაქტორი წერდა ამასწინათ, ჩვენს მთავრობას ახალ „მხედრიონთან“ მოუწევს ომიო.

მე დავამატებ – არა მხოლოდ ახალ „მხედრიონთან“, არამედ მათთან, ვინც „მხედრიონს“ აფინანსებდა.

აი, იმათთან მოგვიწევს, ღმერთმა არ ინებოს და, ომი.

თუ გახსოვთ, მამუკა ხაზარაძემ თქვა: სექტემბრიდან ჩვენს რიგებს ბევრი ახალგაზრდა შეემატებაო. შეგიძლიათ, გილიოტინა მომისაჯოთ, თუ ხაზარაძის გვერდით არ აღმოჩნდებიან „ბასიანის“ ახალგაზრდები უკლებლივ ყველა, ვისაც აფინანსებდა ხაზარაძე და თავზე აყრიდა ნარკოტიკებს.

ზვიად გამსახურდიასაც ყაჩაღები და ნარკომანები ებრძოდნენ, მათ უკან კი სულ სხვა ხალხი იდგა.

1990-1992 წლების მოვლენებშიც ყველაზე დიდი დამნაშავეები ისინი კი არ იყვნენ, ვინც კლავდა და ძარცვავდა, არამედ ისინი, ვინც ფინანსურად და იდეოლოგიურად უმაგრებდა მათ ზურგს. სწორედ ისინი იდგნენ უკან და ხელებს სიამოვნებისგან იფშვნეტდნენ ქართველების გამწარებით გახარებულები, მით უფრო, რომ მატერიალურ სარგებელსაც ნახულობდნენ.

**– ვინ იყო ეს ხალხი, ბატონო ბესო?**

– მოდით, ასე დავსვათ საკითხი – ვინ მიიღო მაშინ ყველაზე დიდი სარგებელი? – ბანკებმა! გაჭირვებულ ქვეყნებში უდიდეს მოგებებს სწორედ ბანკები ნახულობენ – გაღატაკებული მოსახლეობის ზურგიდან ცხრა პირი ტყავის აძრობით.

ახალთახალ ამბავს მოგიყვებით: ჩემს მეზობელს ბანკში პროცენტიდან ერთი თეთრი დარჩა გადაუხდელი და 21 ლარი გამოუწერეს ჯარიმა.

წარმოგიდგენიათ, რამხელა ფულს შოულობდნენ და შოულობენ ბანკები და მათი მესვეურები?

ასეთი ხალხი ედგა უკან 90-იანი წლების პუტჩს, ანუ სამხედრო გადატრიალებას საქართველოში.



სწორედ ხაზარაძეები, კვირიკაშვილები, ე.წ. „კუპონა“ – გოცირიძე, თავი რომ ახლა ანგელოზად მოაქვს და თავისი წარსული ავიწყდება – როგორ გაძარცვა სახელმწიფო ხაზინა და გააკუპონა ქვეყნის დოვლათი. ესენი არიან ერთი ჯგუფი, როგორც სექტა, რომლებიც ემზადებიან დღეს უკვე გადამწყვეტი შტურმისთვის.

ჩვენს მთავრობას და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუნდაც „საერთო გაზეთიდან“, რომ ახლოვდება ტაიფუნი და ამისთვის წინასწარ უნდა მოამზადოს ქვეყანა, თორემ ეს ტაიფუნი ამჯერად გადალეკავს ყველაფერს.

საქმე გვაქვს ისეთ ძალებთან, რომლებიც არც მეგონა, თუ გამოჩნდებოდნენ და ასე გამოიაშკარავებდნენ თავს.

უცხო ძალების გამოყენებით სახელმწიფო გადატრიალება სცადეს 20 ივნისს, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები იყვნენ მაშინ ჩართული იმ ბატალიებში. დღესაც, იგივე სპეცსამსახურების ხელშეწყობით და ქართული წარმოშობის მტრული ძალების ხელით, აპირებენ დიდი უბედურების დატრიალებას ჩვენს ქვეყანაში.

არ იყო საკმარისი, რაც მოხდა 20 ივნისს? სად არის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება 20 ივნისის?! რატომ არ მიეცა ამ ფაქტს სათანადო შეფასება სახელმწიფოს მხრიდან?! სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე?!

თუ გახარია პრემიერ-მინისტრად არ დაინიშნება, ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ დაძაბუნდება „ქართული ოცნება“, შესაბამისად, ან გარიგებული არიან და კვლავ კოჰაბიტაციას ირჩევენ, ან არადა, „ქართული ოცნება“ დაადგება პოლიტიკური ბრძოლის გზას, რომელიც, პრინციპში, მას გადარჩენის შანსს უტოვებს, ყველა სხვა შემთხვევისგან განსხვავებით. ანუ გახარიას დანიშვნით პრემიერ-მინისტრის პოსტზე, „ქართული ოცნება“ იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას ბოლომდე, შიდა და გარე მტრებთან.

**– ბატონო ბესო, გახარიას გარდა კანდიდატურები არ არსებობს?**

– დააკვირდით, გიორგი გახარიას შს მინისტრობიდან გადადგომა არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებსაც უნდათ და იცით, რატომ? – ბიუჯეტის ფულს ერთობლივად იპარავენ და იმიტომ. თუ გახარია არ მისცემს მათ ამის საშუალებას ისე, როგორც თავის დროზე კვირიკაშვილ-ხაზარაძეს მოუჭრა გზები ანაკლიის პორტის საქმეში, მაშინ რად უნდათ გიორგი გახარია პრემიერად?

ე.წ. ოპოზიცია და „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი რომ სპექტაკლებს დგამენ, ხან ვითომ რომ კინკლაობენ და ხან – რიგდებიან. სახელებს არ ჩამოვთვლი. ესენი არიან ერთი ჯგუფი, პუტჩისტების გაერთიანება, ასე დავარქმევდი „თბილისური მაფია“, რომელმაც არ მიიღო, მაგალითად, ზვიად გამსახურდია. მას „სოფლელების პრეზიდენტს“ ეძახდნენ. ამ ე.წ. „თბილისურმა მაფიამ“, სხვათა შორის, არც სააკაშვილი მიიღო და არც ბიძინა ივანიშვილს ღებულობს.

ეს „თბილისური მაფია“ გახლავთ ანტიქართული, ქართველთმოძულე ადამიანების გაერთიანება, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან და, წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო ადრიდანაც მოდის.

ისტორიას თუ გადავხედავთ, ასეთი ჯგუფი დავით აღმაშენებლის დროსაც არსებობდა საქართველოში, კერძოდ, თბილისში. სასტიკად ებრძოდნენ დავითს





ამირასთან შეკრული „თბილისელები“ მაშინ...

მაგრამ დავუბრუნდეთ დღევანდელობას.

ზვიად გამსახურდია მსახურად უნდოდათ და რომ ვერ გამოიყენეს, დაუპირისპირდნენ. სააკაშვილი გამოიყენეს და მერე აითვალწუნეს, გიჟს ეძახდნენ ბოლოს. ბიძინა ივანიშვილს „ხიხოს“ და „ჭორვილელს“ უწოდებენ.

„თბილისური მაფია“ დიდი ძალაა, მას გავლენები აქვს პერიფერიებზეც. სადაც დიდძალი ფული იშოვება, ამ მაფიის წარმომადგენლებიც იქ არიან, თითქოს იქაურები ვერ შეძლებდნენ მართვას და ადგილობრივი სიმდიდრის პატრონობას.

ხაზარაძე გახლავთ ამ მაფიის ერთ-ერთი ბოსი, რომელიც სიგუას მაგონებს. მამუკა ხაზარაძე არის სიგუა-2. ის წყეულიც იძახდა ინაევის წერილი მაქვსო, ხაზარაძე გაჰყვირის, გახარიას წერილი, გახარიას წერილიო, მაგრამ სად არის ეს წერილი?!

ივანიშვილი საჩხერელია, კალაძე – სამტრედიელი, გახარია – ჩხოროწყუელი, ღარიბაშვილი – კახეთიდანაა, თალაკვაძე – გურიიდან. როგორ მოითმენს ამას „თბილისური მაფია“?!

მაფიამ“ დაგვაკარგვინა, რომ იცოდეთ...

**– ბატონო ბესო, ამბობენ, რომ 20 ივნისი იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მაშინ სახელმწიფო გადარჩაო. აქციები კი კვლავ გრძელდება. ანუ ეს აქციები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა?**

– თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ამის შესახებ, ნამდვილად არ შეიძლება ის მოედანი მუდმივი კონფრონტაციის კერა იყოს.

ჩვენ გამოვედით ინიციატივით, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგას ზვიადის და მერაბის ძეგლი და 9 აპრილის მემორიალი, ხოლო 20 ივნისის მოვლენებს უნდა მიეცეს პოლიტიკური შეფასება!

**– ცხინვალში ვითარება მძიმდება, საზღვრების საკითხი კვლავ აქტუალური ხდება, არადა, სააკაშვილის პერიოდში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი დამტკიცდა, რატომ არ რეაგირებს საქართველოს პარლამენტი საზღვრების თვითნებურ ცვლილებებზე?**

– საქმე იმაშია, რომ არც ერთი სატელევიზიო არხი არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს და ესენიც არიან იმ „მაფიის“ ნაწილები. „მაფიას“ აწყობს ახლა ვაჭრობა ყველგან, საიდანაც მოგებას ნახავს...





ჩხოროწყუელი გახარიას დანიშვნა პრემიერ-მინისტრად ნიშნავს ღია კონფრონტაციას ე.წ. „თბილისურ მაფიასთან“.

**ბიძინა ივანიშვილი არ გახლავთ ამ „მაფიის“ წევრი და მილიარდებიც რომ დაახარჯოს, ეს „მაფია“ მას არც არასდროს მიიღებს, გაგიკვირდებათ და, სწორედ, საჩხერელობის გამო...**

სხვათა შორის, „მაფიამ“ მოკლა ყვარლელი ილია ჭავჭავაძეც, რომელიც უკვე წლოვანებაში იყო და აღარ შეეძლო არავითარი ზიანის მიყენება, მაგრამ შური იძიეს მასზე...

აფხაზეთიც ე.წ. „თბილისურმა

**დღეს საკითხი ასე დგას – „ქართულმა ოცნებამ“ თუ გიორგი გახარია არ დანიშნა პრემიერ-მინისტრად, ჩათვალონ, რომ არა მხოლოდ „ოცნება“ დაემხობა, არამედ თავად ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახსაც სასტიკი საფრთხე დაემუქრება.**

გარიგებების დრო დამთავრდა.

გადამწყვეტი ბრძოლის დრო დგება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# როდის გაიფანტება ბურუსი „ნისლიან ალბიონზე“?

ბურუსით არის მოცული „ნისლიან ალბიონზე“ პოლიტიკური სიტუაცია. მიზეზი გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლაა. პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი უპირობო „ბრექსიტის“ მომხრეა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ შეთანხმების გარეშე ევროკავშირის დატოვება ბრიტანეთს დააზარალებს, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურადაც. გასულ კვირას საპარლამენტო ოპოზიციამ განაცხადა, რომ შეეცდებოდნენ მიეღოთ უპირობო „ბრექსიტის“ შემაკავებელი კანონი.

თუმცა, ბრიტანელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 14 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე ოპოზიცია ფიზიკურად ვერ მოასწრებს შემაკავებელი კანონის მიღებას. ამასთან, შესაძლოა, პარლამენტში ხმების საკმარისი რაოდენობაც ვერ მოაგროვონ.



პარლამენტის მუშაობის შეჩერებამ ბრიტანეთის მოსახლეობის უკმაყოფილება და მღელვარება გამოიწვია. ქვეყნის დიდ ქალაქებში: ლონდონში, მანჩესტერში, ლივერპულსა და სხვაგან, საპროტესტო აქციები გაიმართა. ამასთან ერთად, შეადგინეს პეტიცია უპირობო „ბრექსიტის“ შესაჩერებლად, რომელსაც ხელი უკვე 1,5 მილიონმა ადამიანმა მოაწერა. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ დედოფლის გადაწყვეტილებას ვერავინ შეეწინააღმდეგება და ვერც გააპროტესტებს. რჩება ერთი გზა — პრემიერისა და მთავრობის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივრის შეტანა. პოლიტოლოგების განცხადებით, ამგვარმა ქმედებამ, შესაძლოა, პარლამენტსა და მთავრობას შორის ომი გამოიწვიოს, რაც 400 წელი არ ყოფილა ბრიტანეთში.

ერთადერთი, ვინც მოიწონა პრემიერ-მინისტრის მოქმედება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპია. „...ბორის ჯონსონმა გააკეთა ის, რაც ბრიტანეთს სჭირდება. მისმა ოპონენტმა ლეიბორისტმა ჯერემი კორბიმ ვერ შეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა იგი არის ის ადამიანი, ვინც წინ აღუდგება ჯონსონს... მიყვარს ბრიტანეთი“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. როგორც ამერიკელი ჟურნალისტები აცხადებენ, ტრამპის მთავარი მიზანი ევროკავშირის დაშლაა. გაიფანტება თუ არა ბურუსი „ნისლიან ალბიონზე“, მომავალი გვიჩვენებს.

აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ომი ახალ ფაზაში გადავიდა, სექტემბრის დადგომისთანავე ძალაში შევიდა ახალი ბეგარა, რომელიც აშშ-ში გასაყიდ ჩინურ საქონლის კიდევ 1/3-ს შეეხება. ამასთან, დაგეგმილი 10%-ის ნაცვლად, 15%-ით იზრდება ბეგარა. ექსპერტების გამოთვლებით, ახალი ბეგარა კიდევ უფრო დააზარალებს ამერიკელ მწარმოებლებს და მოსახლეობას. განსაკუთრებით მძიმე ტვირთად ფერმერებს დააწვებათ გაზრდილი გადასახადები.

სანქციებს გადაურჩნენ ფრანგი მეღვინეებიც. „დიდი შვიდეულის“ სამიტის დაწყებამდე საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ გაუზრდიდა გადასახადებს აშშ-ის გიგანტ ინტერნეტპროვაიდერებს. დონალდ ტრამპის პასუხმა არ დააყოვნა, რომელიც თავის მხრივ ფრანგული ღვინოების ბეგარის გაზრდით დაემუქრა მაკრონს. ამერიკაში ტრამპმა უპასუხოდ დატოვა ჟურნალისტის კითხვა, „რომელ ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას პრეზიდენტის ოჯახში“. გასულ კვირას საფრანგეთში, მაკრონთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მხარეები გადასახადებს არ გაზრდიან. ტრამპმა იქვე ჟურნალისტებს ნახევრად ხუმრობით განუცხადა: „...ახლა თამამად გეტყვით, პირველი ლედი უპირატესობას ფრანგულ ღვინოებს ანიჭებს“.

გასულ კვირას რუსეთის ქალაქ ჟუკოვსკის ავიასალონი „მაქსი“ ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენა-ჩვენებას მასპინძლობდა.



წლევანდელი ავიასალონი იმით გამოირჩეოდა, რომ თურქეთის პრეზიდენტი რეჯიფ თაიფ ერდოღანი სტუმრობდა მრავალრიცხოვანი ამალით. რუს კოლეგასთან, ვლადიმირ პუტინთან, სტუმარმა, ძირითადად, სირიის საკითხზე ისაუბრა. ერდოღანის განცხადებით, თურქეთს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი ქვეყნის საზღვრები საერთაშორისო ტერორიზმისგან. პუტინი დაეთანხმა თურქ კოლეგას. მან განაცხადა: „...მთელი ჩვენი ძალები ტერორიზმის წინააღმდეგ უნდა მივმართოთ. ამასთან, არ უნდა დავუშვათ სირიის ტერიტორიული დანაწევრება და გავლენის სფეროებად დაყოფა“. ცნობილი გახდა, რომ თურქეთი აშშ-სთან ერთად სირიის საზღვართან უსაფრთხოების ზონას შექმნის, რასაც ყველასთვის მოულოდნელად პუტინი მიესალმა.

საერთაშორისო ტერორიზმი კვლავ რჩება მსოფლიოს პრობლემად. როგორც სხვადასხვა ქვეყნების დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლები აცხადებენ, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ ახალ ძალებს იკრებს. გავრცელებული ინფორმაციით, იგილის საველე მეთაურები თავიანთ მებრძოლებს მოუწოდებენ ყოველდღიური მზადყოფნისკენ. ბრძოლის როგორ მეთოდს აირჩევენ საერთაშორისო ტერორისტები, უცნობია. თუმცა მოსალოდნელ საფრთხეზე ექსპერტები ღიად საუბრობენ.

პოლონეთში მეორე მსოფლიო ომის დაწყების მე-80 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. თუმცა, ღონისძიებას არ ესწრებოდა დონალდ ტრამპი, რომელმაც ქვეყანაში მოსალოდნელი სტიქიური უბედურება მოიმიზეზა. პოლიტოლოგები იმასაც ამბობენ, ტრამპი იმიტომ არ წავიდა პოლონეთში, რომ იქ პუტინი არ იქნებოდაო. გერმანიის პრეზიდენტმა ვალტერ შტაინმაიერმა კიდევ ერთხელ მოიბოდიშა გერმანელი ხალხის სახელით ომის გაჩაღების გამო. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ გერმანელებს უთხრა, ზარალის ანაზღაურების ანგარიშს წარმოგიდგენთო, რაც პოლიტოლოგებმა უტაქტობად შეაფასეს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# თუ ამერიკაში ორი რამ არის ისეთი, რაც გადავადებას არ ექვემდებარება – სიკვდილი და გადასახადები, საქართველოში, მთავარია, არ მოკვდე, თორემ გადასახადები შეიძლება უსასრულოდ გადაგივადონ



*გვესაუბრება პოლიტიკური ორგანიზაცია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის" დამფუძნებელი გია ჟორჟოლიანი:*

**— ბატონო გია, 2020 წელს არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდება. ამ ინიციატივას მომხრეებიც გამოუჩდნენ და მოწინააღმდეგენიც. როგორია თქვენი მოსაზრება?**

— ჩემი აზრით, არჩევნების პროპორციული წესით ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რასაც მთლიანობაში მმართველობის სისტემაზე დიდი ზეგავლენა ექნება, რაც შეიძლება კარგიც იყოს ან პირიქით, ცუდი. ისმის კითხვა: რა შესაძლებლობებს ქმნის მსგავსი პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით? — ის პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც აფილირებულნი ან დაკავშირებულნი არ არიან აქამდე არსებულ პარტიებთან, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვლენ. მათთვის ეს კარგი საშუალებაა. ანუ, ნულოვანი ბარიერი ამის შესაძლებლობას ქმნის. ყველაზე დიდი ხარვეზი რაც ამ სისტემას აქვს ის არის, რომ რეგიონულ წარმომადგენლობას ძალიან ასუსტებს. ამიტომ, ჩვენი პარტიის წინადადება შემდეგია: ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებშია, აქაც შემოვიღოთ პროპორციული არჩევნები, მათ შორის, ნულოვანი ბარიერით, მაგრამ ე.წ. მრავალმანდატიანი ოლქების პრინციპით. ანუ, დღევანდელი სისტემა გულისხმობს, რომ საქართველო არის ერთი 150-მანდატიანი ოლქი. ჩვენი წინადადებაა მაგალითად, საქართველო ათ ოლქად დაიყოს, სადაც თითოეულ მათგანში ამომრჩევლების რაოდენობის მიხედვით 15 მანდატი იქნება და შესაბამისად, ყველა პარტია 15 კაციან სიას წარადგენს. ანუ, ამომრჩეველსა და არჩეულთან კავშირი ბევრად უფრო მჭიდრო იქნება, ვიდრე დღეს არსებულ სისტემაში. მეორე, დადებითი მხარე რაც პროპორციულ სისტემას ახლავს არის ის, რომ რეგიონების განვითარების პრობლემატიკა პარლამენტის დღის წესრიგში იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ავცდებით იმ უსაგნო კინკლაობას რისი მომსწრენიც ამდენი წელია ვართ. ცხადია, დღეს არსებული პარტიების დიდ უმრავლესობას ეს არ აწყობთ. მათ არ ჰყავთ ისეთი კანდიდატები, რომლებიც რეგიონებში მხარდაჭერას მოიპოვებენ. ვგულისხმობ, ერთკაციან პარტიებს, სადაც მხოლოდ ლიდერებია. ბევრი მათგანი მხოლოდ იმისთვის იბრძოლებს, რომ საარჩევნო სისტემით ერთი ან ორი ადგილი აიღოს. რა მნიშვნელობა ექნება ამ ყველაფერს მმართველობისთვის? — ეს შექმნის სისტემას, როდესაც უპირობო მმართველობა, რომელიც საქართველოსთვის მუდმივად დამახასიათებელი იყო, ძალიან რთული განსახორციელებელი იქნება. გეტყვით, რას ვგულისხმობ: დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება" 50%-ს ვერ მიიღებს, მით უმეტეს, ვერც „ნაციონალური მოძრაობა" და ა.შ. საერთოდ, ჯერ გაურკვეველია ვინ მიიღებს უმეტესობას და რა კონფიგურაცია იქნება. დიდი ალბათობით, ალბათ, უმრავლესობა არავის ექნება. ასე, რომ ისეთი უპირობო მმართველობა როდესაც მმართველ უმრავლესობას შეუძლია, აბსოლუტური, იგნორირების პირობებში თავისი პოლიტიკა განახორციელოს, შეუძლებელი იქნება. საქართველოში მუდმივად ასე ხდებოდა. ასე იყო გამსახურდიას დროსაც და შევარდნაძის დროსაც. 1992 წელსაც პროპორციული უბარიერო არჩევნები იყო, მაგრამ მაშინ პარლამენტი მთავარი ორგანო არ იყო. შევარდნაძე ცალკე იყო არჩეული როგორც პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური. მაშინ, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო სისტემა იყო. შევარდნაძეს ლეგიტიმაცია ხალხისგან ჰქონდა. ახლანდელი პარლამენტი ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო იქნება, რომელსაც შეეძლება მთავრობა დააკომპლექტოს და ქვეყანაში მმართველობა განახორციელოს. იქ, მყარი უმრავლესობა არ იარსებებს, თუნდაც, იყოს, იგი, ასეთი სისტემის, ამდენი პარტიის პირობებში უპირობო მმართველობას ვეღარ შეძლებს. რა თქმა უნდა, ეს კარგი ასპარეზია იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ჯგუფებმა, პარტიებმა თავიანთი იდეური პროგრამული პრინციპები, შეხედულებები წარუდგინონ ხალხს და მათ, ამაზე დაიწყონ მსჯელობა და არა კინკლაობა იმაზე — ორ ჯგუფს შორის ვინ უფრო უარესია. თუ ჩვენ, მუდმივად, წარსულის კრიტიკით ვიქნებით დაკავებული, რასაც მაგალითად, „ქართული ოცნება" აკეთებს, მომავლის პერსპექტივას ვეღარ დავინახავთ, დავკარგავთ. რასაც „ნაცმოძრაობა" აკეთებს, ესეც წარსულში დაბრუნებაა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მომავალს ვერ ვუზრუნველყოფთ. ეს არ გახლავთ მომავლის პარტიები. ახლა, არის დრო, შანსი იმისა, რომ საქართველოში საზოგადოებისგან წამოსული მომავლის პოლიტიკური ძალები გაჩდნენ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვონ და ქვეყნის რეალურად განვითარება დაიწყონ.

**— ვის გულისხმობთ მომავლის პარტიებში?**

— ერთი რამ ვიცი: ჩვენს პარტიას აქვს მომავლის ხედვა, პერსპექტივა. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, მაღალკომპეტენტურ ადამიანებთან ვთანამშრომლობთ და ვფიქრობთ, რომ ეს ის ჯგუფებია, რომელთაც ქვეყანა ამ კრიზისიდან უნდა გამოიყვანონ. პოლიტიკის სტილი, პოლიტიკური კლასი უნდა შეიცვალოს. ნოემბერში მასშტაბურ ყრილობას ჩავატარებთ, წარმოვადგენთ ჩვენს ხედვას და გუნდს.

ხელისუფლებაში ის ხალხი უნდა მოვიდეს, რომლებიც სისულელეებით არ იქნებიან დაკავებულნი, არამედ იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი სოფლის მეურნეობა, განათლება, როგორ გავხადოთ საქართველო ინდუსტრიული ქვეყანა, როგორ დავადგეთ განვითარების გზას, როგორ განვავითაროთ რეგიონები, სახელმწიფო ინსტიტუტები და ა.შ. ჩვენ, სახელმწიფო უნდა ავაშენოთ. დღეს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან სუსტი სახელმწიფო გვაქვს. სახელმწიფომ განვითარების მთავარი ორგანიზატორის ფუნქცია თუ არ აიღო, ასე გათითოკაცებული, ცალკეული ინდივიდები ქვეყანას ვერ განვავითარებთ.

**— სახელმწიფო უნდა ავაშენოთო, ამბობთ. ამაში თავისი როლი მედიასაც მიუძღვის. რა ხდება, დღეს, მედია-სივრცეში?**

— ასე ვიტყოდი: მედიაც ისეთია, როგორიც სახელმწიფო. მედიას ელიტურ ნაწილს მივაკუთვნებდი, რომელიც საზოგადოების მანიპულირების ძალიან დიდ ბერკეტებს ფლობს. ეს ერთ-ერთი მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ვფიქრობ, ცვლილებები პოლიტიკით უნდა დაიწყოს და არა მედიით. უნდა გამოჩდნენ გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებიც მიზანს დაისახავენ და ამ მიმართულებით სიარულს დაიწყებენ. მედია იძულებული გახდება ამ გზას გაჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამარგინალდება. რა თქმა უნდა, მედიას უნდა დავაკვირდეთ. აქვე, ერთი რამეც უნდა გავითვალისწინოთ: საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, მედიის იგნორირებას ახდენს. სინამდვილეში, გვაქვს ვითარება, როდესაც მმართველობა უმცირესობის ინტერესებში ხდება და ვინც დღის წესრიგს აყალიბებს, უმრავლესობის მხარდაჭერა მას აქვს. ანუ, უმრავლესობა თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედ ჯგუფებს უჭერს მხარს, ეს იქნება არჩევნებზე თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დამერწმუნეთ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია ის, რაც არამხოლოდ „რუსთავი-2"-ზე, არამედ ზოგადად, ჩვენს ტელევიზიებში ხდება. ასევე, მიუღებელია ის პოლიტიკა, რაც დღეს ქვეყანაში ხორციელდება, მაგრამ ადამიანები არჩევნებზე მხარს უჭერენ ამ პოლიტიკურ ჯგუფებს და ამ ტელევიზიებსაც უყურებენ, რაც ერთგვარი პარადოქსია. ეს მანკიერი წრე უნდა გავარღვიოთ, რაც პოლიტიკიდან უნდა დაიწყოს. იმიტომ, რომ თვითონ არსებული პოლიტიკა ასეთ მედიას კვებავს. ისინი ერთმანეთს კვებავენ. შემდეგ, ეს მედია ამ ტიპის პოლიტიკას ამყარებს და პირიქით. ეს იმდენად კრიტიკულ ზღვრამდე მივიდა, რომ ზოგადად, სახელმწიფის ყოფნა-არყოფნას დაემუქრა — იყო სახელმწიფო გადატრიალების, შტურმის მცდელობები და ა.შ. ტელევიზიები სრულიად დაიცალნენ ელემენტარული ზრდილობისგან, აღარაფერს ვამბობ, ჟურნალისტურ ეთიკაზე. ადამიანური, ეთიკური ღირებულებებისგან დაიცალა ის ენა, რომლითაც მედია საუბრობს. ეს შეუძლებელია, ასე ვეღარ გაგრძელდება. ჩვენ მიუახლოვდით იმ ზღვარს, რომლის იქეთაც გზა აღარ არის. ამიტომ, მგონია, რომ ეს ერთგვარად ქმნის ცვლილებების შესაძლებლობას, ოღონდ, იგი, ძალიან გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ვის უნდა მივანდოთ ეს საკითხი? — რა თქმა უნდა, საზოგადოებას. ხალხს უკვე მობეზრდა 30 წელი სხვის იმედზე ყოფნა, უნდა მიხვდეს, რომ პასუხისმგებლობა თავად აიღოს. ჩვენ, იმ კრიტიკულ ზღვრამდე მივედით, როდესაც სახელმწიფოს მშენებლობაში ახალი მექანიზმები უნდა შეიქმნას. ახლახან ვახსენე: ეთიკური ღირებულებებისგან დაიცალა ჟურნალისტური ენა-მეთქი. იცით როგორ არის? — გინებამ შინაარსი დაკარგა. ლინგვისტურად სიტყვა საგნის აღმნიშვნელია. ლინგვისტიკაში ასეა: აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის არის კავშირი. მართალია, ეს კავშირი პირობითია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აღსანიშნი აღმნიშვნელს კარგავს, კავშირი იკარგება. მაგალითისთვის გეტყვით: საბჭოთა კავშირის დროს ტრასებზე მივდიოდით და სადღაც, მთებზე ეწერა: „დიდება კპსს"-ს. 100 ადამიანიდან 99 რომ გაგეჩერებინათ და გეკითხათ: ეს რას ნიშნავსო, ვერ გეტყოდნენ, არ იცოდნენ. ანუ, ამას მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. გინება ამ მნიშვნელობას კარგავს. ჩემს ახალგაზრდობაში გინება უდიდესი შეურაცხყოფა იყო. დღეს, ეს აღარ არის შეურაცხყოფა. ტელევიზიით პირდაპირ იგინებიან ისე ვითომც არაფერი. კაცმა რომ გაგაბ-



რაზოს და შეაგინო, იმას არ ეწყინება. თუ გინდა მას შეურაცხყოფა მიაყენო ან გაუჯავრდე, სხვანაირად უნდა მოიქცე იმიტომ, რომ გინება და ლანძღვა შეურაცხმყოფელი აღარ არის. ამან ეს მნიშვნელობა დაკარგა. ანუ, ვინც იგინება ჩათვალეთ, რომ არც არავის უბრაზდება და არავითარი რისკი გინებაში არ არის. აბა, დუელების დრო ყოფილიყო, მაშინ ნახავდით დღევანდელი გინების დიდოსტატები სად იქნებოდნენ. დუელის დროს ვერ აღვადგენთ, მაგრამ ამას ხომ ჩვენი ახალგაზრდები უყურებენ. ყველას შვილები, შვილიშვილები გვყავს, არა?! ისინი, ამ ტერმინოლოგიით, კარგავენ მორალის შეგრძნებას, ადამიანურ ღირსებას, ასევე, რა შეიძლება უთხრა ადამიანს და რა — არა, რას ნიშნავს შეურაცხყოფა, გაბრაზება და ა.შ. ეს ყველაფერი შინაარსს კარგავს და მგონია, რომ ეს, ერთგვარ, ღირებულებრივ დეზორიენტაციას იწვევს. ანუ, ადამიანებს ღირებულებები უქრებათ — რა არის დასაცავი, რა არის ჩემი ღირებულება, რისთვის უნდა ვიმოქმედო, რა ჩავთავალო კარგად და რა — ცუდად. მხედველობაში მხოლოდ გინება არ მაქვს, არამედ ცილისწამება, სიცრუე, დეზინფორმაცია, რისი ტირაჟირების მოწმენიც ვართ. ზოგადად, მედიის ენა, რომელიც შინაარსისგან დაცლილია ასევე, შინაარსისგან დაცლილი ცხოვრების წარმართვას იწვევს.

**— რა გამოდის, საზოგადოება, რომელიც ამას ყოველდღიურად უყურებს ღირებულებებისგან დაცლილია?**

— არ ვიტყოდი, რომ მთელი საზოგადოება ასეთია. უბრალოდ, ჩვენ, ახლა, იმ ნაწილზე ვლაპარაკობთ, რომელთაც დისკურსის წარმართვის საჯარო არხები გააჩნიათ. მადლობა ღმერთს, ადამიანები ცხოვრებაში ასე არ მოქმედებენ. ჩვენ, ძალიან მაღალი ეთიკური ტრადიციები, სტანდარტები გვაქვს. სწორედ ეს ინარჩუნებს ჩვენში სტაბილურ საზოგადოებას. სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების პირობებში, ამას მაინც ვინარჩუნებთ. მაგრამ თუ ეს საჯარო ინსტიტუტები ისე იმოქმედებენ, როგორც დღეს იქცევიან და ეს დიდხანს გაგრძელდება, ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები მოიტანოს.

**— სახელმწიფოს მიმართ ტელევიზიებს დიდი დავალიანებები აქვთ. რატომ არ ითხოვს სახელმწიფო ვალის დაბრუნებას?**

— მოდით, ასე ვთქვათ: რა არის, ზოგადად, გადასახადი და სახელმწიფოს ფული. სახელმწიფოს ფული არ არის რომელიმე მინისტრის ან პრემიერის ფული, არამედ ხალხისაა. ხალხის ფული რომელიც არის როგორც ჩემი ისე თქვენი და ა.შ., ჩვენ ხან ოქუაშვილს მივეცით, ხან „რუსთავი2"-ს, ხან „იმედს", ხან „მაესტროს". ვალების გადავადება წლობით გრძელდებოდა. ადამიანები კანონის წინაშე თანასწორნი არ არიან. ვისაც ტელევიზია ან მსხვილი ბიზნესი აქვს, უკეთეს მდგომარეობაში არიან. ღარიბი ხალხის ფულით მათ შესაძლებლობას ვაძლევთ თავიანთი ბიზნესი აკეთონ. პირველი რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის ყველას მიმართ თანაბრად მოქცევა. თანასწორობის იდეა არის ის, რაც სახელმწიფოს საფუძვლად უდევს. ასეთი ამერიკული გამონათქვამი არსებობს: ორი რამ არის ამ ქვეყნად გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები. გადასახადი არის ის, რასაც ყველა ადამიანი გასცემს იმისათვის, რომ საჯაროდ საჭირო ფუნქციები განხორციელდეს, რაც მთელს საზოგადოებას, ყველას სჭირდება. მაგალითად, თავდაცვა, პოლიცია ანუ, რაც ყველასთვისაა, რომელმაც ერთნაირად უნდა დაიცვას ღარიბიც, მდიდარიც და ა.შ. საერთოდ, გადასახადების თემა, ამ



რადიკალური ლიბერალიზმისა და ინდივიდუალიზმის პირობებში, მათ შორის, საქართველოში, ეჭვის ქვეშ დადგა. თუ ყველაფერს მე ვაკეთებ, რატომ უნდა გადავუხადო ეს ფული სხვას, არა?! ყველა ეკონომიკა რაღაც კონტექსტში ფუნქციონირებს. ანუ, თუ თქვენ, რაიმე პროდუქციას უშვებთ, მე, მას ვყიდულობ. ჩვენი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამბობდა: რა საჭიროა სურსათის უვნებლობის სამსახური. წავალ რესტორანში, შევჭამ და თუ არ მომეწონება მეორედ აღარ წავალო. ხომ შეიძლება მოვიწამლო, მოვკვდე. ეს რომ არ მოხდეს რეგულაციებია საჭიროა. ასეა, მთელს მსოფლიოში. ეს რას ნიშნავს, რომ ჩვენ, ყველანი, რაღაც






კონტექსტში ვმოქმედებთ. როცა ეკონომიკური საქმიანობიდან, საზოგადოებიდან რაღაც სარგებელს ვიღებთ, იგი, არ უნდა დავაზიანოთ. თუ ამ საზოგადოებას ვაზიანებთ, მაშინ მხოლოდ ჩვენთვის და სხვების წინააღმდეგ ვმოქმედებთ. ეს რომ ასე არ მოხდეს და ყველასთვის თანაბარი პირობები შეიქმნას, ამისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო, კანონები, რეგულაციები და ა.შ. ამას ყველაფერს აკეთებს სახელმწიფო, რასაც სჭირდება ფული და ეს ხდება გადასახადების მეშვეობით. რა ვქნათ, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს საავადმყოფოში არ წავიდეს? ვისაც მდიდარი მშობლები არ ჰყავთ, იმ ბავშვებს წამლები, კვება, სწავლა არ სჭირდებათ? ყველა თანაბრად მდიდარი ვერ იქნება. შეიძლება მშობელი ზარმაცია არ იმუშაოს, მაგრამ 5 წლის ბავშვი ხომ ვერ იმუშავებს, მან რა დააშავა? ანუ, ყველა ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში გადასახადები საჯარო საქმიანობას უზრუნველყობს. რას მოიცავს ეს? — წესრიგს, თავდაცვას, მმართველობას, განათლებას, ჯანდაცვას და ა.შ. მახსენდება ასეთი მაგალითი: როდესაც რეზერფორდმა ატომური ბირთვის მოდელი გააკეთა, გამოფენა მოეწყო, ჟურნალისტებმა ჰკითხეს: რად გინდათ, რაში გამოიყენებთო? — არაფერში, უბრალოდ, მეცოდინებაო — მიუგო მან. ეს ცოდნა შემდეგში გამოდგა დიდი უბედურებისთვისაც — ატომური იარაღი შეიქმნა და დიდი სიკეთისთვისაც — ბირთვული ენერგია, ადამიანების სასიკეთოდ, ბევრ რამეში გამოიყენება. მაგრამ მაშინ არაფერში არ გამოიყენებოდა და არც იყიდებოდა. ანუ, ასეთი რამ, ძირითადად, ყველგან, დედამიწაზე, გადასახადების მეშვეობით ფინანსდება. ყველა განვითარებულ ქვეყანაში პროგრესული დაბეგვრის სისტემაა. ჩვენთან არის რეგრესული. ანუ, საშემოსავლოს და ა.შ. ყველა პროცენტულად იხდის. დღგ, აქციზი და სხვა გადასახადები ყველას მიერ თანაბრად გადაიხდება. ანუ, არა პროპორციულად, არამედ თანაბრად. როცა რაიმე პროდუქტს ყიდულობთ, მასში რა ფულიც არის აქციის ან დღგ-ს გადასახადისა, თქვენ და თქვენზე მდიდარი ადამიანიც, ყველა, ერთნაირად იხდის. ჩვენ პირიქით ვაკეთებთ: მხარს ვუჭერთ მსხვილ ეკონომიკურ სუბიექტებს, ვპატიობთ მათ მილიონებს ირიბი გადასახადების მეშვეობით. არ შეიძლება ვინმეს რამე აპატიო. ეს ფული ჩვენი, ყველასია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თუ გადასახადები არ არის, სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფო სწორედ ამაზე დგას.

**— ბატონო გია, ოკუპაციიდან 11 წელი გავიდა. ჩვენ კი კვლავ საოკუპაციო ხაზთან ვართ. ეს რისი გამოძახილია?**

— ამ საკითხზე ცოტა განსხვავებული ხედვა მაქვს იმისგან განსხვავებით, რაც დღეს ყველა მხრიდან არის გავრცელებული. ანუ, არ მგონია, რომ ამ ამბავში მხოლოდ 2008 წლის ომი იყო წყალგამყოფი. ომი, უკვე, კულმინაცია გახლდათ. წყალგამყოფი იყო როდესაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩვენ განვაცხადეთ: საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური კონფლიქტები არ გვაქვს და ეს არის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის. მანამდე, ეს, ასე არ იყო. თუ გახსოვთ, აქ, ჩამოვიდა არძიმბა, შამბა. სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც კი ალასანია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ჩადიოდა სოხუმში, არსებობდა გარკვეული ურთიერთობები. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, იქ, საერთოდ, ჩემს მეგობრებს ბავშვებიც კი დაჰყავდათ. ჩვენ დეკლარირებული გვქონდა შემდეგი: ეს იყო ტრაგედია, რასაც მეც ვიზიარებ. აქ მარტო 2008 წელზე არაა საუბარი, იყო 1992 წლის 14 აგვისტოც. ამ ომში დაღუპული ადამიანები, ჩვენ, გვავალდებულებენ გავუფრთხილდეთ სიცოცხლეს, მომავალს და მშვიდობას. ის მებრძოლები, დღეს, ყველაზე დიდი პაციფისტები არიან. 2004 წლიდან მოყოლებული სააკაშვილმა რიტორიკა შეცვალა. შედეგად, ჩვენი ოფიციალური პოზიციაც შეიცვალა. ჩვენ, განვაცხადეთ: არ გვაქვს ეთნიკური კონფლიქტები და იქ მყოფ აფხაზებთან არავითარი საქმე არ გვაქვს. ერთადერთი ვისთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, ეს რუსეთიაო. დავიწყეთ საკითხის გამწვავება. რა თქმა უნდა, რუსეთს, ამ სეპარატისტული რეჟიმების განმტკიცებაში, მონაწილეობა მიღებული აქვს. მაგრამ ჩვენ თუ გვინდა ეს კონფლიქტები გადავჭრათ, პირველ რიგში, ჩვენს თანამემამულეებს შორის — აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ნდობა უნდა აღვადგინოთ. თუ ეს ურთიერთობები არ აღვადგინეთ, არაფერი გამოვა. ვთქვათ, რუსეთს შევუთანხმდით და მან ტერიტორიების აღიარება უკან წაიღო, მერე რას ვშვებით? თქვენ გგონიათ, რუსეთმა აღიარება უკან რომ წაიღოს, ყველანი — აფხაზები და ოსები იტყვიან: მოდი, ახლა, საქართველოს შევუერთდეთო? ასე, არ იტყვიან. აბა, ძალით უნდა შევიდეთ? ჩვენივე თანამოქალაქეები იარაღით დავიპყროთ? — ეს შეუძლებელია განა იმიტომ, რომ სათანადო ძალა არ გვაქვს, არამედ ამის გაკეთება არ შეიძლება. ჩვენ ერთადერთი გზა გვაქვს — ნდობის აღდგენით მშვიდობიანად უნდა დავიწყოთ. ამ ნდობას სააკაშვილმა, აბსოლუტურად, გამოაცალა საფუძველი და ისეთი პოლიტიკა წარმართა, რითაც აჩვენა, რომ რუსეთი აგრესორია. თითქოს, ეს ვინმესთვის საიდუმლოებას წარმოადგენდა და თუ ჩვენ ვიტყოდით, მაშინ გაიგებდნენ. თითქოს, რომ გვეთქვა: იქ სეპარატიზმი არ არის და ყველაფერი რუსეთმა გააკეთაო, მხოლოდ მაშინ დაინახავდნენ: ამ საქმეში მის მონაწილეობას. ეს საბავშვო ბაღი არ არის, არამედ ეს იყო პროვოკაცია, მცდელობა, რათა ურთიერთობა რადიკალურად გამწვავებულიყო. თუ ეს იყო შეცდომა, იგი, დანაშაულზე მეტია. მგონია, რომ ეს დანაშაული იყო იმიტომ, რომ მსხვერპლის გაღების გზით, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ვიბრძოდით. ამის კულმინაცია ომი იყო. რაც შეეხება გუგუტიანთკარს, მარტო აქ ხომ არ გვაქვს საზღვარი. მაგალითად, კოდორთან რა ხდება, საერთოდ, არ ვიცით, არავინ გვახედებს. სააკაშვილმა ხომ შექმნა მთავრობა, სანაკოევი დანიშნა, საზღვრები განსაზღვრა და ექვსპუნქტიან შეთანხმებას ხელი მოაწერა. ისინი, იმ შეთანხმებაში არსებულ საზღვარს გადმოსცდნენ? — შეიძლება ერთი მეტრით და არა ათასით. ასეთი რამ შეიძლება სხვა საზღვართანაც ხდება. ვიმეორებ, ჩვენ არ ვიცით რა მდგომარეობაა კოდორთან და ა.შ. ესენი, მუდმივად, პროვოკაციების წარმართვას ცდილობენ. რა თქმა უნდა, ამას კიდევ უფრო უწყობს ხელს აქ მყოფი ზოგიერთი ვაი-პატრიოტი, რომლებიც ადგილზე ჩასვლით, თითქოს, საზღვარს იცავენ. ასეთი რამ არ გამიგია. არასამთავრობოების დაცული საზღვარი ისტორიამ არ იცის. პირველ რიგში, პასუხისმგებლობას მთავრობას ვაკისრებ, რომელსაც საზოგადოებისთვის მკაფიო, ჩამოყალიბებული არც პოლიტიკა აქვს და არც გზავნილები. რუსები რას და რის საფუძველზე აკეთებენ, აი, ეს უნდა ითქვას. რა თქმა უნდა, იქ მყოფი ადამიანებისთვის, მაქსიმალურად, ხელშემწყობი პირობები უნდა შეიქმნას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# 2008 წლის აგვისტოს ომის შავი ბუღალტერია

29 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ე.წ. ხელისუფლებამ საქართველოს ულტიმატუმი წამოუყენა, თუ 30 აგვისტოს დილის 6 საათამდე სოფელ ჩორჩანასთან პოლიციის ბლოკპოსტს არ დაშლით, მერე ჩვენ ვიცითო. როგორც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსმა კახა ქემოკლიძემ განაცხადა, ეს არის ის ტერიტორია, სადაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდებოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და მის შემდეგაც. რატომ გახდა ეს დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პოლემიკის საგანი, რთულად გასაანალიზებელია.

## შემზარევი ფაქტები, თუ როგორ გაყიდეს სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ მილიონებად სამაჩაბლო და კოდორის ხეობა

## პოლიტიკაში ყოფნა და ხელისუფლებაში მობრუნებაზე ჩალიჩი კი არა, ამ გამყიდველების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს!

## ნულოვანი ტოლერანტობა „ნაცმოძრაობას“ და მის განაყოფებს!

## დაუყოვნებლივ დაიჭირეთ გიგა ბოკერია - აგვისტოს ომის მთავარი „ბუღალტერი“!

სახელმწიფო მოხელე ამ ეტაპზე, ალბათ, მეტს ვერაფერს იტყვის, თორემ ყველაფერი იოლად გასაანალიზებელია – სიტუაცია მიდის იმ გეგმის მიხედვით, რაზეც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა თავის ხროვასთან ერთად მოაწერა ხელი. ეს გახლავთ გეგმა, რომელიც გაცილებით ადრე გაფორმდა რუსეთთან და ოფიციალურად გაცხადდა 2008 წლის აგვისტოში. სააკაშვილის რეჟიმს რომ უფრო ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული საქართველოს ტერიტორიების გასხვისება, ეს დაფიქსირებულია ბიძინა ივანიშვილის პირველ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წლის ნოემბერში:



„გახსოვს, ვანო (მიმართავს ვანო მერაბიშვილს, – რედ.), სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის გადამეფიქრებინა ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება. ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ. ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწევდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ. მე მაშინ შევძელი, ბოკერია დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რომელსაც გამოხატავდი ჩემი მისამართით. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა:

– ხომ შეიძლება თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?

– სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არ ახლოთ არაფერს-მეთქი, – გავაფრთხილე.



მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა“.

კარგად დაუკვირდით, ეს ხდებოდა 2008 წლის ომამდე წელიწადნახევრით ადრე. როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, ის სააკაშვილის თხოვნით მივიდა ბოკერიასთან და ეხვეწებოდა, ომი არ დაიწყოთო. კი, მაგრამ ვინ ჩემი ფეხები იყო და არის ბოკერია, რომელიც ყველას დაუკითხავად, მით უმეტეს, სააკაშვილის „დაბროს“ გარეშე ომის დაწყებას აპირებდა? არა, აქ აშკარად ჩანს ორი მომენტი: პირველი – სააკაშვილი ბოლომდე მაინც არ რისკავს, ბოკერიას ეფარება და თან აგულიანებს; მეორე – იგივე სააკაშვილის ნათქვამიდან გამომდინარე, კარგად იშიფრება, რომ ამათ რაღაცის სანაცვლოდ რუსები სთავაზობდნენ გარკვეულ გეგმას, ეს „რაღაცა“ იყო ფული, ხოლო გეგმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: აგვისტოს ომამდე წელიწადნახევრით ადრე ხელისუფლება აცხადებს, რომ კოდორის ხეობას უნდა ეწოდოს ზემო აფხაზეთი და პარლამენტის ხელდასმით ეწოდა კიდეც. ამას მოჰყვა სააკაშვილის იდეა, ზემო აფხაზეთში განთავსებულიყო აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა (უზენაესი საბჭო თავისი სამინისტროებით). დიდი ზეიმიც შედგა, ხეობაში აშენდა კოტეჯების მსგავსი ოფისები, შეიტანეს კომპიუტერული თუ სხვა სახის ტექნიკა და თბილისში მჯდომი მთავრობა, სადაც გაგრის დასუფთავების სამსახურიც კი იყო, იქ გადავიდა. რასაკვირველია, კოდორში შეიტანეს ამერიკელების მიერ ნაჩუქარი იარაღიც.



ამავე გეგმის მეორე ნაწილის არსი მდგომარეობდა შემდეგში: აგვისტოს ომამდე წელიწადნახევრით ადრე, შიდა ქართლში, კერძოდ სოფელ ქურთაში შექმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად გამოაცხადა ვინმე დიმიტრი სანაკოევი, რომელიც, თურმე,1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველებს ებრძოდა. თუ რა ხდებოდა სოფელ ქურთაში, ანუ სანაკოევის საპრეზიდენტო რეზიდენციაში 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ამაზე მისი საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ცაბოშვილი** პირადად მესაუბრა უკვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. სამწუხაროდ, ომის შემდეგ ის იძულებული გახდა, უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო:

„დიახ, არა მარტო მაშინ, როცა ეს ადმინისტრაცია ქურთაში იყო, არამედ 2008 წლის ომის შემდეგაც 19-მილიონიანი ბიუჯეტი ჰქონდა. სად, როგორ და ვინ განკარგავდა ამ თანხებს, არავინ იცის. დასაწყისში საერთოდ შავი ბუღალტერია მოქმედებდა, ჩემოდნებით მოჰქონდათ ფული და ასე ინაწილებდნენ. მე კარგად მახსოვს ჩემი საუბრები უშიშროების მაშინდელ წარმომადგენლებთან, როცა ერთი 50-დოლარიან სკამში 500 დოლარს იხდიან, სად მიდის ამდენი ფული-მეთქი? სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირად იყო, მაგრამ როცა ფულის გათეთრებაზე მიდიოდა მუშაობა, ხმას ვინ ამოიღებდა? მეტსაც გეტყ-



ვით, ალბათ გახსოვთ, მაშინ გაკეთდა შემოვლითი გზა ერედვიდან. ძალიან საინტერესოა, რამდენი დაჯდა ეს გზა, რამდენი იხარჯებოდა მის ვითომ შეკეთებაზე? მილიონები. ჯერ შეიქმნა ალტერნატიული არჩევნების პრეცედენტი. თავიდან ვიყავი მე, დიმიტრი სანაკოევი და კიდევ რამდენიმე ოსი. იმ ეტაპზე არ ერქვა ადმინისტრაცია, ჩატარდა არჩევნები იმ ადგილებში, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა და პრეზიდენტად აირჩიეს დიმიტრი სანაკოევი. იმ პერიოდში მე ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ გადაერქვა სახელი და გავხდი ინტეგრაციის მინისტრი. იმ პერიოდში სანაკოევსაც შეეცვალა სტატუსი და გახდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ვის სჭირდებოდა სანაკოევი? ეს ძალიან საინტერესოა. ქართულმა მხარემ ოსური მხრიდან დაიწყო ბნელი წარსულის მქონე ადამიანების გადმობირება, მოსყიდვა. ასეთების გადმოსვლა დიდი ვერაფერი შეღავათი იყო და ეჭვები გამიჩნდა 2007 წლის დასაწყისში, თუნდაც იგივე ფინანსური მომენტების შესახებ, საკადრო პოლიტიკის შესახებ. ე.წ. მთავრობაში, რომელიც სოფელ ქურთაში განთავსდა, ისეთი გაბერილი შტატები იყო, ლამის გული მისკდებოდა – ყველაფრის სამინისტრო შექმნეს და დაახლოებით 500 ადამიანი შეყარეს. წარმოიდგინე, მე ვიყავი მინისტრი და ამ დროს არავინ არაფერს მავალებდა, არავინ არაფერს მთხოვდა და არავინ არაფერს მაკეთებინებდა. უბრალოდ მოდიოდა ფული და არ მინდოდა ასეთი ფულის აღება“.

თუ ცოტა გონებას დავძაბავთ, მივხვდებით, რომ სქემა იგივეა, ქურთა და მისი მიმდებარე 150 სოფელი, ასევე პარლამენტის ხელდასმით, შეიყვანეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში. დღეს უცხოელი (ყოფილი) დიპლომატები სიმაღლის მიხედვით გამოდიან და აცხადებენ, თითქოს აფრთხილებდნენ სააკაშვილს, ომი არ დაეწყო. დიახ, ისინი თითქოს სიმართლეს ლაპარაკობენ, მაგრამ ამავე დროს მალავენ ჭეშმარიტებას – სააკაშვილს ომი არ უნდა დაეწყო, მას რუსებთან ერთად უნდა ჩაეტარებინა სპეცოპერაცია, რის შემდეგაც აფხაზეთის მხარეს კოდორის ხეობა გადაეცემოდათ რუსებს. გარიგება იყო ასეთი: რუსები კოდორის ხეობაში გადაიხდიდნენ ფულს (დაახლოებით 70 მილიონ დოლარს), აქედან 30 მილიონი წავიდოდა ისევ რუსების ჯიბეებში, ოღონდ სამხრეთ ოსეთის გავლით, იმის სანაცვლოდ, რომ როცა სააკაშვილის ხროვა ცხინვალში შევიდოდა, კულახმეტოვის „სამშვიდობოები“ განზე გადგებოდნენ, ანუ „ნე ვიჟუ“-ს გაგვიკეთებდნენ. აი, სწორედ აქ იყო ხაფანგი დაგებული, რუსებმა წაიღეს ხეობაც და 150 სოფელიც (ახალგორის რაიონი). იყვნენ თუ არა უცხოელი დიპლომატები ამ ავანტიურაში გარეულნი? ეხმარებოდნენ თუ არა ისინი სააკაშვილს, რომ მაგარი პროვოკაცია გათამაშებულიყო და ყველა მოგებული დარჩენილიყო? მაია ცაბოშვილი ამ თემაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

„სააკაშვილს ნაწილობრივ აქეზებდნენ უცხოეთიდანაც. მე იმ პერიოდში ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით და მქონდა შეხვედრები მეთიუ ბრაიზასთან. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ გვმოძღვრავდა ბრაიზა, თქვენ სამხრეთ ოსეთის პრობლემას შიგნიდან ვიწროდ აღიქვამთ, აქედან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, ნუ ამუქებთ, ამ წლის 23 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის პრობლემა აღარ იარსებებსო. მე ვუთხარი, ძალიან გამიხარდება, თუკი კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება, მაგრამ თუ დამენიძლავებით, აუცილებლად წააგებთ-მეთქი. მეთიუ ბრაიზამ ნიძლავი წააგო. ისიც მახსოვს, როგორ მელაპარაკებოდა ზემოდან, როგორ მაგრძნობინებდა, ნეტა შენ რა იციო? ამით იმის თქმა მინდა, რომ მოდი, მარტო მიხეილ სააკაშვილს ნუ დავაბრალებთ ყველაფერს, მარტო ერთი ადამიანი ვერ გადაწყვეტდა, აეღო თუ არა ცხინვალი. აქ მნიშვნელოვანია, ვინ აქეზებდა და ვინ უჭერდა მხარს. ამერიკიდან მე დავბრუნდი ძალიან შეშფოთებული და მაშინვე რამოდენიმეჯერ ჩავედი ცხინვალში. ამას მოჰყვა ჩემი, მამუკა ყუფარაძისა და დათო დარჩიაშვილის დაპატიმრება. კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია და მერე მოხდა ის, რაც მოხდა“.

თუ ჩვენ არ გავიხსენეთ 2004 წლის აგვისტო, მთლიან სურათს ნამდვილად ვერ აღვადგენთ. რაც მაშინ მოხდა, ეს გახლდათ რეპეტიცია დიდი პროვოკაციის წინ. ირაკლი ოქრუაშვილი, რა თქმა უნდა, სააკაშვილის თანხმობით, გავარდა ცხინვალის მიმართულებით, დაიკავა ერთი გორაკი, თავი წარმოიდგინა გულივერად, მაგრამ მივიღეთ რა? მსხვერპლი ორივე მხრიდან, დაჩოქებული ქართველები და გამოქცეული ოფიცრები. რა იყო ეს, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებდა სააკაშვილის ხროვა? უკვე გითხარით, ეს გახლდათ რეპეტიცია, ოღონდ ჯერ დაულაგებელ-დაუგეგმავი. ზოგიერთი





დღეს ამას ნათლავს ოქრუაშვილის თვითნებობად, თუმცა მაია ცაბოშვილის თქმით, ეს ასე არ იყო:

„მაშინ მეც ასე მეგონა, რომ ეს იყო ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დაგეგმილი სპეცოპერაცია, მან მოახერხა და აიღო წვერიახოს მაღლობი, მაგრამ როცა სააკაშვილმა დაურეკა, სასწრაფოდ დატოვე, გამოდი უკანო, მივხვდი, ვინც ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს. თუ არ მოხდა სიტუაციის გაანალიზება 2004 წლიდან, საქმე ნამდვილად არ იქნება სრულყოფილი და ობიექტური. უნდა გავიხსენოთ მიხეილ სააკაშვილის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდების აგრესიული გუნდის მოქმედება... იგივე გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე და სხვები. მათ არა მხოლოდ ცხინვალის მიმართ ჰქონდათ აგრესიული რიტორიკა. ჯერ კიდევ 2004 წლის აგვისტოში გამოვიდა თარგამაძე ტელეკომპანია „მზის“ ეთერში და თქვა: ჩვენ საქართველოში რუსეთს მეორე ჩეჩნეთს მოვუწყობთო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ესენი ყველაფერზე წავიდოდნენ. მართალია, რატომღაც ზოგიერთი ჩემში ოს სეპარატისტს ხედავს, მაგრამ საქართველოს ჩეჩნეთიზაციის პერსპექტივა ნამდვილად არ მხიბლავს. ჩემთვის ორივე მხარე მტკივნეულია, ჩემთვის ამ საქმეში გამარჯვებული არ არსებობს. ამათ ჩაფიქრებული ჰქონდათ, ორი კურდღელი დაეჭირათ: პირველი – რუსეთს უკან დაახევინებდნენ და გააღიზიანებდნენ, მეორე – შეაშინებდნენ, დათრგუნავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მე არ ვიცი, სააკაშვილს ვინ ჩაუდო თავში ასეთი იდიოტური აზრი. მე პირდაპირ ვუთხარი მას: ის, რაც აჭარაში გააკეთეთ, იგივე სცენარი ცხინვალში არ გამოდგება-მეთქი. სამწუხაროდ, მაშინ ცოტა უფრო მაღალი წარმოდგენა მქონდა მიხეილ სააკაშვილზე, რაღაცებს ვუხსნიდი, თუ კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით აპირებთ, მაქსიმალურად მოგეხმარებით-მეთქი. კი, სწორედ ასე ვაპირებთო. ამის შემდეგ მართლაც შეიმუშავეს ახალი პროექტი, სადაც ჩართულები იყვნენ პაატა ზაქარეიშვილი, თინა ხიდაშელი და დავით დარჩიაშვილი. თუმცა ამ პროექტში სამხრეთ ოსეთზე ისეთი არაფერი ჩაუდიათ. ძირითადად აფხაზეთის მიმართულებით უნდა გავაქტიურდეთო. მე ვუთხარი, მაშინ მე დაგიდებთ რამდენიმე დღეში ახალ კონცეფციას-მეთქი. მერე შევხვდი გელა ბეჟუაშვილს, იმჟამინდელ უშიშროების საბჭოს მდივანს, გავაცანი ჩემეული ხედვა. 2005 წლის იანვარში სააკაშვილმა სტრასბურგში გააკეთა განცხადება, ჩვენ ცხინვალს ამას და ამას ვთავაზობთო. მართალია, ჩვენს კონცეფციას სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა ცხინვალში, მაგრამ ფორმა იყო არასწორად შერჩეული. ოსები ამბობდნენ: თქვე კაი ხალხო, თუ ჩვენთან შერიგება გინდათ, ჯერ ჩვენ გვითხარით, სტრასბურგიდან რას გველაპარაკებითო? მე სააკაშვილს ვეხმარებოდი მანამდე, სანამ მჯეროდა, რომ მას კონფლიქტის მოგვარება უნდოდა მშვიდობიანი გზით. დღეს მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, ყველაფერი გადაწყდება ისე, როგორც რუსეთი მოისურვებს. ეს არის რეალობა და ამ რეალობამდე მიგვიყვანა სააკაშვილმა“.

დასკვნა: ვინაიდან და რადგანაც, მიხეილ სააკაშვილის ავანტიურისტულ გეგმებს პარლამენტი ხელის ერთი აწევით ამტკიცებდა, იმჟამინდელი უმრავლესობის ყველა წევრი არის მოღალატე და დასაპატიმრებელი. ამ შემთხვევაში პოლიტიკური თაღლითობის გარდა, საქმე გვაქვს ფინანსურ თაღლითობასთან. გარდა იმისა, რომ სააკაშვილის ბანდის წევრებმა დიდი ფული იშოვეს ამ სპეცოპერაციისას რუსეთიდან (აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ 2008 წლის 9 აგვისტოს 70 სტრატეგიული ობიექტი გადაუფორმეს რუსებს), 4 მილიარდი დოლარი შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროკავშირიდან. ეს თანხა ასევე თაღლითური გზით მიითვისა სააკაშვილის ხროვამ. ალბათ გახსოვთ, მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოაჩვენეს, ამ ფულით წეროვანში დევნილებისთვის სახლები ავაშენეთო. სინამდვილეში გეტოები, რომლებიც საცხოვრებლად თითქმის გამოუსადეგარია, საკუთარი ხარჯებით ააშენებინეს ბიზნესმენებს. ამას წინებზე ნიკა ლალიაშვილის ფილმმა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. არადა, ამ ფილმს ბევრი ნიუანსი აკლდა, თუნდაც ის დეტალები, რაზეც ზემოთ მოგითხრეთ. დღეს უკვე არასერიოზულად გამოიყურება შეკითხვა: ვინ დაიწყო ომი, საქართველომ თუ რუსეთმა? ეს არ იყო ომი, ეს იყო სპეცოპერაცია ჩვენი ქვეყნის წინაალმდეგ, რომელიც ჩატარდა რუსეთსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის შემუშავებული ერთობლივი გეგმით. რაც დღეს ხდება ე.წ. საზღვარზე, რა პრეტენზიებიც აქვთ ოსებს რუსების მხარდაჭერით, გახლავთ იმ დანაშაულის გაგრძელება და ექნება თუ არა დასასრული, არავინ იცის.





**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# საუკუნის ძარცვა

## შევარდნაძის მიერ მოწყობილი საბანკო პუტჩი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა მთლიანად გააკოტრა და გააღატაკა



„არ მკითხოთ როგორ ვიშოვე პირველი მილიონი, დანარჩენზე თავად მოგიყვებით, ყველა სუფთად მაქვს ნაშოვნი“, ასე უპასუხა ამერიკელმა მილიარდერმა ჯონ როკფელერმა ჟურნალისტს. საეჭვოა, ქართველ ბანკირებსა თუ ბიზნესმენებს რომელიმე მილიონის წარმომავლობით დაინტერესება ესიამოვნოთ, იმ „კონტიგენტს“ ვგულისხმობთ, რომლებსაც ჯაბა იოსელიანის, შესაბამისად ედუარდ შევარდნაძის „დანიშნულ“ ბანკერ-ბიზნესმენებად მოიხსენიებს სრულიად სამართლიანადაც საზოგადოება. ახლა ზოგიერთ მათგანს, როგორც ქართლში იტყვიან ხოლმე, კუდზე ფეხი რომ დაადგეს, თავიანთ „პატიოსნებასა“ და „უმწიკვლო“ წარსულზე აჭიკჭიკდნენ. „საერთო გაზეთში“ თავის დროზე დაიბეჭდა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის, ეკონომისტ **დავით გაგნიძის** რამდენიმე ინტერვიუ, სადაც იგი საუბრობდა 90-იან წლებში სამთავრობო დონეზე განხორციელებულ იმ ფინანსურ-ეკონომიკურ მაქინაციებზე, რამაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გააღატაკა, მათ ხარჯზე კი გაჩნდა მდიდართა „კასტა“, რომლებიც გამდიდრების წყაროდ, საკუთარ „განსაკუთრებულ“ კომერციულ „ნიჭს“ ასახელებენ. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ ამბავი „დანიშნულთა“ მიერ მილიარდებისა თუ არა, მილიონების შოვნისა მაინც. ჩვენი რესპოდენტი იმ პერიოდში შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველში მუშაობდა, ასე რომ, კარგად იყო ინფორმირებული, თუნდაც ოპერატიულ დონეზე, რა ვაი-უშველებელი ტრიალებდა ჩვენს ქვეყანაში.

1993 წლის დასაწყისში საქართველოში ხუთი მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკი მოქმედებდა, „საქბინსოცბანკი“, „აგრობანკი“, „ექსიმბანკი“, „ინდუსტრიაბანკი“ და „ახალი ქართული ბანკი“ (იგივე „შემნახველი ბანკი“), რომლებიც საქართველოს საბანკო აქტივების დაახლოებით 80%-ს ფლობდნენ. საქართველოში მობრუნებულ შევარდნაძეს ხელისუფლების გასამყარებლად საბანკო რევოლუცია სჭირდებოდა, ამიტომ მან 1994 წლის 13 იანვარს საბანკო „გადატრიალება“ მოაწყო, ფინანსურ „მწვერვალზე“ მხოლოდ ერთი ადამიანი, მისი უახლოესი ნათესავი ვლადიმერ პატეიშვილი დატოვა. ამ უკანასკნელმა უბრალოდ სამუშაო ადგილი შეიცვალა და „შემნახველი“ ბანკის ნაცვლად



„საქბინსოცბანკის“ ხელმძღვანელად დაინიშნა. მოგვიანებით ედობაბუს ნათესავს გეგენავა-სილაგაძესთან ერთად, ძალზე საეჭვო ფინანსებით „საქართველოს ბანკი“ დაუარსებია. სილაგაძე მეცნიერი, ცნობილი პიროვნება ბრძანებულა, ის იყო „ტვინი“ ამ სამეულში. პატეიშვილი ხელისუფლებას წარმოადგენდა, მესამე წევრი არჩილ გეგენავა გახლავთ, შემდგომში ნაციონალებთან ფრიად დაახლოებული და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი. იმ პერიოდში არჩილ გეგენავა ბევრს არაფერს წარმოადგენდა, სავარაუდოდ, ვერის საძმოს წევრი იყო, ხოლო მისი ძმა ანდრო გეგენავა „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი. საიდან მოდიოდა ფინანსები, რომლის ადრესატიც ეს „სამეული“ გახლდათ, რესპოდენტი დაზუსტებით ვერ ამბობდა. სახელმწიფო მეთაურის სტატუსში მყოფი შევარდნაძე, ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრა, მას თან ახლდა ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილი, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია კიევში იყო წასული. ამ პერიოდში ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანს თურმე ჩუმად გაუმართავს სამთავრობო სხდომა, საიდუმლოდ დაიწერა დადგენილების პროექტი და ბატონმა მარგიანმა ახალი ბანკირები დანიშნა, რომელთაც არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობა ჰქონდათ და არც საბანკო სფეროში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება. ეს განსაკუთრებით ვანო ჩხარტიშვილსა და ანდრო დევდარიანს ეხებოდათ. სამაგიეროდ, ხუთივე ახალდანიშნულს კომკავშირულ-პარტიული გამოცდილება და რაც მთავარია, შევარდნაძისადმი ერთგულების მაღალი ხარისხი აერთიანებდათ. ანდრო დევდარიანს საბანკო სფეროში საერთოდ არ ჰქონდა არანაირი გამოცდილება, გარდა ერთისა, დემურ დვალიშვილის ეროვნული პრეზიდენტობის დროს, ამ ბანკიდან უამრავი კრედიტი ჰქონდა გატანილი. დევდარიანი კი ამბობდა, ამ თანხებით საქართველოში შაქარი და კარაქი შემომქონდაო, თუმცა მავანთა მტკიცებით, ესეც გასარკვევი იყოო.

სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის დაწყებისთანავე აშკარა იყო, რომ ამ ობიექტების დიდ ნაწილს მათი ხელმძღვანელები შეისყიდდნენ. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სახელმწიფოს მეთაურ შევარდნაძესაც, რომელმაც ახალი ბანკირების დანიშვნით, ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრა, ვინ იქნებოდა მოგებული ბანკების პრივატიზაციის დროს. ისე, ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა ზუსტად შეაფასა ეს მასობრივი პრივატიზაციის პროცესი, როცა მას პრიხვატიზაცია უწოდა. ხუთი თვის შემდეგ, „ექსიმბანკის“ მმართველად შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ზაზა სიორიძე დანიშნეს. ზაზა სიორიძეს კომკავშირული წარსულის გარდა, გერმანიაში დაცული ხარისხიც გამოადგა, ხოლო ანდრო დევდარიანს, მეუღლის მაია კვეზერელის ნანული შევარდნაძესთან მეგობრობა. როგორც აღვნიშნეთ, საბანკო ბაზარზე მონოპოლიის მქონე ხსენებული ხუთ ბანკის ხელმძღვანელებს მეგობრობის გარდა, ერთმანეთის ბანკებში ქონებრივი ინტერესიც ჰქონიათ, მეწილეები ყოფილან. სწორედ ამიტომ, მათ თავისუფლად დაიწყეს არა მარტო კურსებით თამაში, არამედ ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ფასის განსაზღვრაც ისეთ პატარა ბაზარზე, როგორიც საქართველო იყოო. რაც შეეხება ბანკების პრივატიზაციას, ეს პროცესი 1994 წლიდან დაიწყო, რის პარალელურად შევარდნაძემაც არ დააყოვნა ზემოხსენებული პერსონების „დასაჩუქრება“ დაიწყო. კერძოდ, „ექსიმბანკის“ ერთი მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მეანაბრეებს ჰქონდათ შეტანილი, სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა, იგივე ბედი ეწია „შემნახველ ბანკში“ მეანაბრეების მიერ შეტანილ ფულსაც. კომუნისტების მმართველობისას ქართველ მეანაბრეებს 13 მილიარდი მანეთი ჰქონდათ ბანკებში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მანეთის გაუფასურება შეუქცევადი პროცესი იყო, თან დაჩქარებულ რეჟიმში, რისი ინიციატივაც რუსეთიდან მოდიოდა, კომუნისტური პარტიისა და სუკის „ელიტის“ მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური დარტყმა მიეყენებინათ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვისო. ქართველი მეანაბრეების თანხა კი იყო 13 მილიარდი მანეთი, მაგრამ ხელოვნურად გამოწვეული ჰიპერინფლაციის შედეგად, ისინი უცებ გაკოტრდნენ და ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დარჩნენ. ამას მასობრივი საკრედიტო ემისიაც დაერთო, მარტო 1992 წლის დეკემბერში საქართველოს საწარმოებისთვის ახალი კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ 30–40 მილიარდ რუბლს მიაღწია, ეს მაშინ, როცა იმავე წლის ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხამ 100 მილიარდ რუბლზე მეტი შეადგინაო. საწარმოთა ხელმძღვანელობას თურმე გამოჰქონდა კრედიტები და მაშინვე მყარ ვალუტას ყიდულობდნენ, არავის აინტერესებდა რაიმე ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება, სავარაუდოდ, ამ კრედიტების მხოლოდ



7–8% თუ წასულა დანიშნულებისამებრ.

1994 წელს, ოფიციალური ვერსიით, ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში თავი მოიკლა. იგი ამ თანამდებობას 1992 წლის ნოემბ-





ჰალსტუხიანი, საკმაოდ განათლებული „მამულიშვილები“ აკეთებდნენ თავიანთი მოსკოველი „შეფების“ დაკვეთით. ცალკე 2003–2012 წლები, რომელსაც რესპოდენტი საქართველოს „შავი პერიოდს“ უწოდებს, იგი მიიჩნევს, რომ „კაგებემ“ რაზან თვითონ რომ ვერ შეძლო ქართველების გატეხვა, მათ აშშ-ის დახმარებითა და ევროპის წაყრუებით, ნაციონალების სახით „შავი ჭირი“ მოუვლინა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ორჯერ მოვიდნენ ნაძირალები, პირველად მათი „ატამანი“ ე.წ. კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი იყო, ხოლო





მეორედ გაუმაძღარი „დედიკოს ბიჭი“ მიშა სააკაშვილი, მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ პირველი ხალხის წინააღმდეგ თავის „ბარტყებს“ ავტომატებით დაარბენინებდა, მეორე კი ლოზუნგებითა და მათ მიერვე მიღებული უსამართლო კანონებითო.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რომელიც უშუალოდ ფინანსებს უკავშირდება და პირწმინდად ანგრევს ქვეყანას, ეს არის „შავი“ ფულის „გარეცხვა“. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მარტო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992–2003 წლები), საქართველოში 200 მილიარდი აშშ დოლარი „გათეთრდა“, არანაკლები იქნებოდა ნაცხელისუფლების პერიოდშიც, თურმე ამიტომ იხსნებოდა უამრავი კაზინო, რაც ფულის „გათეთრების“ ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ყოფილა. ბუნებრივია, „გარეცხვების“ დროს ბონუსებიც რჩებოდა, რაც სავარაუდოდ 5–10%-ს შეადგენდა. სწორედ უკანონო და აღურიცხავმა ფულის მასამ წალეკა საქართველო, გაანადგურა მისი ეკონომიკა, ძირითადად კი მისი მასაზრდოებელი სოფლის მეურნეობა. ქვეყანაში დღესაც ყოფილა დალექილი ფულის დიდი მასა, ოღონდ ის ცალკეული პიროვნებების, ვიწრო წრის ხელშია.

რიდან 1993 წლის ოქტომბრამდე იკავებდა. 1993 წლის 1 აპრილამდე საქართველო სამანეთო, ანუ რუბლის ზონაში შედიოდა, აქედან გამომდინარე დვალიშვილს ფულის ემისიის უფლება არ ჰქონია. 1993 წლის 3 აპრილიდან ეროვნული კუპონი შემოვიდა ბრუნვაში, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე, მთელი დატვირთვა დააწვა. კუპონის შემოღების შემდეგ, ქვეყანაში არსებულ ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო მდგომარეობა დაერთო, რამაც კუპონის კატასტროფული დევალვაცია გამოიწვია. კუპონიც საფრანგეთში დაბეჭდილა, თვითმფრინავი კუპონების პარტიით გამთენიისას ჩამოფრინდა საფრანგეთიდან, დაახლოებით 8–9 საათზე კი უკვე იყიდებოდა ეს ფული მეტროებთან, ე.ი. ბანკებიდან მოხვდა ე.წ. შავ ბაზარზე. რესპოდენტის განცხადებით, კუპონის დევალვაციის პროცესის მიმართ ეროვნული ბანკი უძლური იყო, რადგან სავალუტო მარაგი არ გააჩნდა. 1992 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ვთქვათ, ბანკში შეტანილი გქონდათ 10.000 რუბლი, 15.000 რუბლი გახდებოდა, მალე მეორე კანონიც მიიღეს, ყოველი შეტანილი რუბლი ორმაგდებოდა. იმ პერიოდში სწორედ ამიტომ შეჰქონდა ხალხს მასიურად ბანკებში ფული, რაც შემდგომ ისევ ინფლაციამ შეჭამა. იმდროინდელი კურსით საქართველოს მოსახლეობას რვა მილიარდი აშშ დოლარი ჰქონდა ბანკებში შეტანილი, ბოლო ინფორმაციით 1,6 მილიონი დოლარიღა დარჩა, თუმცა ეს ფულიც შევარდნაძის ზემოხსენებულ „კომსომოლებს“ მიუთვისებიათ. ხალხს „კავკასიის ბირჟაზე“ ტომრებით მიჰქონდა კუპონები და რუსულ რუბლზე ცვლიდა, ბუნებრივია, ამ ყველაფრიდან გამომდინარე ბანკები ფულში „იხრჩობოდნენ“, ხოლო მოსახლეობა „იმედიანად“ შეჰყურებდა მომავალს. მხოლოდ ერთ დღეს ქართულმა „გამა-ბანკმა“ ათი მილიარდი რუბლი „გააკეთა“, რასაც არნახულ „აფიორად“ მიიჩნევენ პროფესიონალები. უშიშროების სამინისტრომ „კავკასიის ბირჟის“ პრეზიდენტი და მისი ვაჟი 2004 წლის 19 ივლისს დააკავა, თუმცა არავინ იცის რატომ დააკავეს ან რა შედეგი მოყვა ამ ამბავსო. ეს ყოფილა გასაიდუმლოებული „ოპერაცია“ ასევე საიდუმლო შედეგით.

იმ პერიოდში სოკოებივით მრავლდებოდნენ კერძო ბანკები თუ საინვესტიციო ორგანიზაციები, რომლებიც კოლოსალურ დივიდენდებს სთავაზობდნენ მეანაბრეებს, თუმცა მოკლე ხანში თავს გაკოტრებულად აცხადებდნენ და ხალხის ფულიანად უკვალოდ ქრებოდნენ. რესპოდენტის განცხადებით, როცა კერძო ბანკების „კაპიტალინვესტის“, „ოქროს საწმისის“ და სხვათა გაკოტრებაზე ვსაუბრობთ, ერთად ერთი ის უნდა ვიკითხოთ, რატომ მოკლეს ვენაში შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი ევროპაში დავით სანიკიძე? ამ საქმეში სანიკიძის გარდა, თურმე ასევე ფიგურირებდა საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ვინმე ჩიხლაძე და ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი. ამ ე.წ. ტრიუმვირატს თვალს რომ გადაავლებ, ყველაფერი ნათელი ხდება და სალაპარაკოც ალბათ აღარაფერიაო. მაშინდელი ოპერატიული ინფორმაციების თანახმად, ბანკების გაკოტრების საქმეში აქტიურად ყოფილა ჩართული ხელისუფლება, ხალხისთვის მოპარული ფული საზღვარგარეთ გაიტანეს, „ექსპორტირებულ“ თანხად 15 მილიონი აშშ დოლარი სახელდებოდა, თუმცა დავით გაგნიძე მიიჩნევდა, რომ თანხა გაცილებით მეტი იყო. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლებმა ერთი კვირით ადრე ვიცოდით, ფულის „ექსპორტირების“ დაწყების შესახებ, რომელიც უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით ტარიელ ონიანი, ანუ „შავი სამყარო“ მოტეხეს, რასაც დავით სანიკიძის მკვლელობა მოყვა. სხვათა შორის, ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ისრაელის უშიშროების სამსახურის და ამერიკის დაზვერვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებიც დაკითხა ავსტრიის პოლიციამო. ეს პროცესები მართლაც გავს ბანდიტიზმს, რაც რესპოდენტის აზრით, მთელი „კულტურაა“, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო კანონების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უარყოფაზე. ამ შემთხვევაში ამას ზედმეტად გამოსული კუპიურების დიდი წილი, თურმე ისევ იმ ხალხის ხელში იყრის თავს, რომელმაც თავის დროზე უკანონოდ დააგროვა ეს ფული, რაც ანგრევს ქვეყანას, მათ ქველმოქმედება რომ გასწიონ, ასე არ მოხდებაო. შევარდნაძის მმართველობისას შსს-ს ერთ-ერთ დანაყოფს ოპერატიული ინფორმაცია მიუღია, რომ შევარდნაძეს ამერიკელებმა შესთავაზეს, რომ 300 პიროვნება ექციათ მსხვილ ბიზნესმენად და ძირითადად, მათ ხელში მოექციათ საქართველოში არსებული ფულადი მასა. მერე ისინი ქველმოქმედებას გასწევენ, ეკონომიკას განავითარებენ და მოსახლეობა ფეხზე დადგებაო. შევარდნაძემ დაუჯერა ამერიკელებს, მისცა ამ ხალხს ქონება პრივატიზაციის ეგიდით, ბანკებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების სახით, მაგრამ მათ ყველაფერი სახლში წაიღესო. რესპოდენტმა კატეგორიულად გამორიცხა შევარდნაძის მიერ დასაჩუქრებულთა სიიდან ბიძინა ივანიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი. იმ ხალხის გაწეული ქველმოქმედება თუ გინახავთ, ვისაც შევარდნაძემ ქონება უფეშქაშა, თუნდაც ბანკები, ვგულისხმობ, ვანო ჩხარტიშვილს, ზაზა სიორიძეს, მამუკა ხაზარაძეს, ახვლედიანებს (შევარდნაძის მძახალი), ან თვითონ ედუარდ შევარდნაძის



ქველმოქმედება თუ გსმენიათო. მამუკა ხაზარაძის „ქველმოქმედება“ კი შევიტყვეთ, მაგრამ მისი ადრესატები ძირითადად „უბორნიის“ მჯღაბნელები (რომლებიც საკუთარ თავებს პოეტებად, მწერლებად და ა.შ. მოიხსენიებენ) და მათთან „გათანაბრებულნი“ გახლავან. როგორც აღვნიშნეთ, დემურ დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს მავანთ უზარმაზარი კრედიტები გაჰქონდათ, რაც დანიშნულებისამებრ არ გახარჯულა, შედეგად მივიღეთ ქართველ მდიდართა „კასტა“, ხოლო დვალიშვილმა თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, თავი კი არ მოიკლა, მოკლეს. ამ კრედიტების გაცემის საქმეში არაფერ შუაში იყო დვალიშვილი, მას გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები ავალებდნენ და ბუნებრივია, უარს ვერ ეტყოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობაზე არავინ გააჩერებდა. ბატონი დემური ამ კრედიტებთან დაკავშირებით (ვინ და რატომ გაიტანა), შსს-ს შენობაში დაიბარეს დასაკითხად. როგორც მაშინ სამინისტროში ამბობდნენ, იგი ჯერ მოწმედ უნდა დაეკითხათ, მერე ეჭვმიტანილად ცნობასა და დაჭერას უპირებდნენ. საიდან აღმოაჩნდა დვალიშვილს ცეცხლსასროლი იარაღი, როცა გამორიცხული იყო შსს-ს შენობაში იარაღის შეტანა, მითუმეტეს ბატონი დემური პატიოსანი კაცი იყო და ის არ გარისკავდა იარაღის შეტანას. მაშ როგორ მოიკლა თავი? რესპოდენტი ეჭვობდა, რომ შეიძლება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, იძულებული გახადეს თავი და სულაც თვითონ მისცეს იარაღი. „სხვა რა დასკვნა უნდა გამოიტანო, მაშინ შსს-ს აპარატში ვმუშაობდი, შეიძლება იმ შენობაში დვალიშვილის მკვლელობა-თვითმკვლელობის ამბავი ვერც გაგვეგო, უბრალოდ კაბინეტის კარი ღია იყო და სროლის ხმა გავიგეთ. მერე ისიც ითქვა, რომ თითქოს მან დერეფანში მოიკლა თავი, რაც ძალიან მეეჭვება. ბატონი დემური თურმე კაბინეტშიც არ იყო შესული, ანუ დაკითხული არ იყო და ვინ დაუშვებდა, რომ თავი მანამდე მოეკლა. ერთი სიტყვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ვრცელდებოდა, მოგვიანებით პრესაში სულ სხვა ვერსიები დაიბეჭდა, თითქოს დვალიშვილი დამნაშავე იყო. სპეციალურად ავრცელებდნენ ხმებს, ამ უდანაშაულო ადამიანზე უნდოდათ ჯოხის გადატეხა. სხვათა შორის, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების ლიდერშიფსაც ჰქონდა გატანილი დიდი ოდენობით კრედიტები, საუბრობდნენ 102 მილიონ თუ მილიარდ კუპონზე, რომელიც გატანისთანავე თურმე დოლარებზე გადააბურდავეს. ამის შემდეგ დაიწყო ჰიპერინფლაციური პროცესები, ამ „პატიოსანმა“ მსესხებელმა ვალი კი დააბრუნა, რაც რეალობაში დაახლოებით 200 აშშ დოლარს უტოლდებოდა“, აცხადებდა რესპოდენტი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

## ლალი მოროშკინა:

# ყველა ლიდერი, რომელმაც 20-21 ივნისს ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, აქციების შემდეგ, როცა დაჭერები დაიწყო, ყველა მოსკოვში გაფრინდა



***რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და რას მოგვიტანს ბოლოდროინდელი სამთავრობო ცვლილებები ამაზე „საერთო გაზეთს“ სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, პიარ-ტექნოლოგი ლალი მოროშკინა ესაუბრა:***

— დიახ, საკადრო ცვლილებები მოხდა, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის ადგილზეა და ვერანაირი ოცკაციანი დემონსტრაციები ვერ ჩამოშლის. ჩვენ უნდა დავდგეთ იქ, სადაც თავმოყვარე ერი უნდა იდგეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაგვიანდა, უნდა მოხდეს ყველა იმ ადამიანის დასჯა, ვინც რეჟიმის დროს დანაშაული ჩაიდინა და იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი ახლა მაინც დაიწყება. მოლოდინი მაქვს, რომ დაიწყება მოლაპარაკებები რუსეთთან, რადგან დღეს ვის ვეკონტაქტებით, მურად ჯიოევს? ამ ადამიანს გადასარევად ვიცნობ, რადგან მინისტრის მოადგილე ვიყავი, მაშინ როდესაც ის საგარეო უწყებას წარმოადგენდა და შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ის არაფერს წარმოადგენს და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული კრიმინალური დაჯგუფების მარიონეტია. ასეთ ადამიანებთან ლაპარაკი არაფრის მომცემია, შესაბამისად ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ მოაზროვნე „თავებთან“, რომლებიც ამ პროცესების უკან დგანან.




**— „თავებთან“, რომლებმაც საქართველო აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გენოციდის მოწყობაში დაადანაშაულეს..**

— ჩვენ უნდა შევძლოთ და იმ ახალ პოლიტიკოსებს ველაპარაკოთ, რომლებიც არ იზიარებენ პუტინის აგრესიულ რიტორიკას და აგრესიულ ურთიერთობას საქართველოსთან. ჩვენ უნდა შევძლოთ ისეთ ადამიანებთან საუბარი, რომლებიც რუსეთის მომავალია და არა წარსული. ყველამ ვნახეთ, რომ პუტინის აკრძალვის შემდეგ საქართველოში შემოვლითი გზებით და საკუთარი ტრანსპორტით გაცილებით მეტი რუსი ტურისტი ჩამოვიდა. ეს ადამიანები თავადაც აპროტესტებენ საკუთარი ხელისუფლების მოქმედებას და მათთან კონტაქტი აუცილებელია. ოკუპანტიას ძახილით და შიშველი უკანალებით წართმეული არავის დაუბრუნებია და ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

რუსეთს იმხელა ტერიტორიები აქვს, რომ საქართველოს ტერიტორიები არაფერში ჭირდება. დაუკვირდით, სოჭი 1 თვეში გაარემონტა და ოლიმპიურ მექად აქცია და ამ დროს, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში 1 ხე არ დაურგია, რაც ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები არ აქვს და მხოლოდ სავაჭროდ ჭირდება.

**— ვაჭრობის თემა რა არის?**

— მოგეხსენებათ, ამჟამად მიდის სერიოზული დავა იმაზე, თუ ვისი სამხედრო ბაზები განთავსდება საქართველოში და ვისი ინტერესები გატარდება საქართველოში — ნატოსი თუ რუსეთის. ინტერესებში იგულისხმება როგორც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, ისე ბევრი სხვა მნიშვნელოვანი თემა და სამწუხაროდ, საქართველო ამ ორ ძალას შორის იჭყლიტება. ვიღაც იმისთვის იბრძვის, რომ საქართველო ნარკოტიკების გამტარ ქვეყნად დარჩეს, როგორც წლების განმავლობაში იყო. რეალურად, იმაზე მიდის ბრძოლა ვინ რამდენ პროცენტს გადაინაწილებს ამ ნარკოტიკებიდან და ამ ხალხს არც პატრიოტიზმი აინტერესებთ და არც სამშობლო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნატოს გენერალიტეტი ერდოღანის ქცევით მუდმივად უკმაყოფილოა და მუდმივად პრობლემა აქვს, გამორიცხული არაა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბოსფორი და შავი ზღვა გადაეკეტოთ, ამიტომ საქართველოს ხელიდან ვერ გაუშვებენ და მინიმუმ, ამ დაძაბულობის რეჟიმში გვამყოფებენ. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ხომ უნდა მიხვდეს, რომ არ შეიძლება ადამიანები მუდმივად გყავდეს „დამოკლეს მახვილის„ ქვეშ, ვიღაც ხომ უნდა მიხვდეს, რომ საჭიროა თუნდაც 5 კაციანი ჯგუფი, სადაც შევლენ პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, მეცნიერები და სახალხო დიპლომატიის წევრები, რომლებსაც მოლაპარაკებებზე გაგზავნი. რუსეთს ოფიციალური კიევი ელაპარაკება და ზელინსკის პუტინთან რამდენჯერმე ჰქონდა სატელეფონო საუბარი, ის ქვეყნები ელაპარაკებიან, რომლებიც ღიად ეომებიან და ჩვენ რა გავხდით? წელს საფრანგეთში, ნათესავებთან მომიწია ჩასვლა და საკუთარი თვალით ვნახე, რომ ნიცა და მონტე კარლო სავსეა რუსული მანქანებით. ეს იმ ქვეყანაში ხდება, რომელშიც რუსეთის დიდ რვიანში შესვლის წინააღმდეგია. ფრანგებს და გერმანელებს რუსებთან მუდმივი ჭიდილი აქვთ და იქაურობა რუსებით სავსეა. ამასობაში ჩვენ დავდივართ 20 ადამიანის ჭკუაზე, რომელთა მთავარი მიზანი დესტრუქციაა. მე ჩემი ბუნებით აბსოლუტური რადიკალი ვარ, ამიტომ ამ ვაჟბატონებს მოვუწოდებ — კი ბატონო, ომი გინდათ? დააბრუნეთ შვილები საზღვარგარეთიდან, დაკეტეთ რესტორნები, ბიზნესები, სასწავლო დაწესებულებები, გამოაცხადეთ მობილიზაცია, შევიარაღდეთ და კი ბატონო, მეც მოვდივარ ამ ომში. ფრონტის წინა ხაზზე დააყენეთ ისინი, ვინც პუტინს დედას აგინებენ და სად არიან ეს დესტრუქციული ელემენტები?! ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ქვეყანას ჰყავდეს პრემიერ მინისტრი, რომელიც ამ ურთიერთობას დაალაგებს. გავრილოვის ღამეს რომ ეძახიან, ეს გავრილოვის კი არა, ნაციონალური მოძრაობის ღამე იყო, რომელსაც პლაკატებიც კი წინასწარ ჰქონდა გამზადებული და პირდაპირ, პროვოკაციულად მოქმედებდა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გავრილოვიც მათიანია, ამიტომ სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ.

**— თქვენი აზრით, რა შეიცვლება პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას დანიშვნის შემთხვევაში?**

— თუ გავითვალისწინებთ, რა აგრესიული ტონი აქვს ნაციონალურ მოძრაობას და როგორ ცდილობს ყველანაირ შარში გაგვხვიოს, ადვილი მისახვედრია რა შეიცვლება. გიორგი გახარიას თავმოყვარეობის მაღალი განცდა აქვს და კარგი პროფესიონალია, სწორედ ამ თვისებების წყალობით შეძლო რამდენიმე მძიმე სიტუაციის განეიტრალება, თუმცა, ნაციონალებმა ბოლოს ისეთი პროვოკაცია დადგეს, რომ რამდენიმე ადამიანი დაშავდა, რაც ძალიან სამწუხაროა. არ ვიცი რამდენად არის ცნობილი, პრაქტიკულად ყველა ლიდერი, რომელმაც 20-21 ივნისს ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, აქციების შემდეგ, როცა დაჭერები დაიწყო, მოსკოვში გაფრინდა. ანუ საიდან იმართებოდნენ? მე მაქვს დამამტკიცებელი საბუთები, ვინ, სად და როდის გაფრინდა.

**— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, რომელ ლიდერებს გულისხმობთ?**

— თითქმის ყველას! უფრო მეტად ვერ დავაკონკრეტებ. ახლახან რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის გადამღები ჯგუფიც იყო ჩამოსული, რომელსაც შევხვდი და გავესაუბრე. ჩვენ გადავიღეთ რუსთაველიო და პირდაპირ ვკითხე რატომ იღებთ რუსთაველს, სადაც 7 კაცი დგას და პუტინის პლაკატი აქვს გამოტანილი, თუ მოსკოვიდან რაღაც დავალებით არ ხართ ჩამოსული, შარდენს, ნარიყალას, სიღნაღს რატომ არ იღებთთქო და პასუხი ვერ გამცეს. სამწუხაროდ, ეს გადაცემა ვეღარ ვნახე. სავარაუდოდ, ჩემი სიტყვები მონტაჟის დროს ამოჭრეს. მე ვცხოვრობდი ფრანკფურტში წლების განმავლობაში და ფრანკფურტში მუდმივად იყო კარავი გაშლილი და მუდმივად ვიღაცა რაღაცას აპროტესტებდა. პარიზში წაბრძანდით და ნახეთ ყვითელი ჟილეტები რამხელა აქციებს ატარებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთავრობა მუდმივად უკან იხევს. ყველა ქვეყანაშიარის ასეთი აქციები და ჩამოდის მოსკოვის არხი და გაგანია ზაფხულის სიცხეში, როცა თბილისში კაციშვილი არ არის, შვიდკაციან აქციას იღებს. რას ემსახურება ეს ყველაფერი თუ არა სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას და ძაბავენ იმისთვის, რომ ჩვენზე სამუდამოდ თქვას უარი ყველა ევროპულმა სტრუქტურამ. საოკუპაციო ხაზთან განვითარებულ მოვლენებზე ევროკავშირის რა განცხადებაც წავიკითხე, ეს იყო აბსოლუტურად სამარცხვინო. ეს იყო სიტყვების კალამბური რა უნდა გააკეთონ ევროპულმა სტრუქტურებმა. უკაცრავად და შეშფოთება, აღშფოთება, პამპერსები და ცივი წყალი ძალიან კარგად გვახსოვს 2008 წლიდან და აღარ გვჭირდება.

**— ასეა თუ ისე, ქართულმა პოლიციამ შეძლო ჩორჩანაში პოლიციის ბლოკპოსტის შენარჩუნება.**

— ძალიან კარგი. გახარიამ პანკისში შექმნილი პრობლემაც ძალიან კარგად და გონივრულად დაალაგა. გადასარევად იციან გახარიას ფსიქოტიპი, რომელიც შეძლებს რაღაცეების შეცვლას და მის წინააღმდეგ მთელი ნაციონალური მანქანა ამუშავდა. წარმოიდგინეთ, რამდენად ღირებულია ადამიანი, რომელსაც ასე ებრძვიან.

**— არა მარტო ნაციონალური მანქანა. როგორც ამბობენ, გახარიას „შინაურებშიც„ ბევრი მტერი ჰყავს.**

— დიახ, ასეა და ეს შინაომები არის ჩვენი ქვეყნის ჩვეულებრივი ხელწერა. ამიტომ ვფიქრობ მოვიდა დრო, როცა მეტი რადიკალიზმია საჭირო, რომ ჩვენი სახლები და ოჯახები რუსეთთან შეკრული პროვოკატორი ელემენტებისგან დავიცვათ. სხვათა შორის, რაც ახლა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე ხდება, ესეც ამასთან კავშირშია. ვიღაცეებს ძალიან უნდათ, რომ საქართველოს მთავრობიდან აგრესიული რიტორიკა დაფიქსირდეს. ძალიან უნდათ, რომ გახარიასნაირი მინისტრები ომის მინისტრებად იხილონ, თუმცა გახარია მათსავიც წითელ ხიდზე არ გაიქცევა, ამიტომ ჩემთვის მათი ისტერიკა სრულიად გასაგებია. **დიახ, ვიღაცას ძალიან უნდა ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი გახარიას სახელებთან ომი და სისხლი დააკავშიროს. დიახ, ამ ორი ადამიანის წინააღმდეგ მიდის ხელჩართული ბრძოლა იმიტომ, რომ შევარდნაძის დროს სისხლი დაიღვარა, გამსახურდიას დროს სისხლი დაიღვარა, სააკაშვილის დროს სისხლი დაიღვარა და როგორ შეიძლება, რომ ბიძინა ივანიშვილის დროს არ დაიღვაროს?** რაღაცა ჯგუფი მთლიანად დაკავებულია ადამიანის განადგურებით, რომელმაც ამდენი სიკეთე გაუკეთა ქვეყანას, მორალური განადგურებიდან დაწყებული, ფიზიკური განადგურებით დამთავრებული. ადამიანს სახლში რომ უვარდები, მეტი არაფერია თუ არა, პირდაპირი აგრესია. სამწუხაროდ, ეს პროცესები ძალიან გაიწელა რამაც მოსახლეობის ნაწილი აპათიამდე მიიყვანა, ნაწილი დეპრესიამდე ამ დროს საქართველო უცხოელი ბიზნესმენების ასპარეზი ხდება. კახეთისკენ მიწები ინდოელებს და არაბებს აქვთ ნაყიდი, ძალიან ბევრი ობიექტი იყიდეს რუსებმა, მარტო სიღნაღში 18 ჰოლანდიური ოჯახი ცხოვრობს, ბევრია ამერიკულიც და ჩვენ ამ შინაომების გადამკიდე, ბოლოს „გაღიმებულები„ დავრჩებით. სწორედ ამიტომ დადგა რადიკალური მოქმედებების დრო და ვფიქრობ, ეს სამთავრობო ცვლილებები ამის შესანიშნავი შანსია.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# შეთქმულება სიტყვის თავისუფლების სახელით

## ჟურნალისტი, როგორც ფსიქოტერორისტი, ტელევიზია, როგორც სახელმწიფო გადატრიალების იარაღი

ძვირფასო ამხანაგებო... გინდათ, გესაუბროთ ჭეშმარიტ ჟურნალისტიკაზე? გინდათ, აგიხსნათ, რატომ არის ეს პროფესია გაბანძებული და დაჭაობებული? გინდათ, გითხრათ, როგორ უნდა გამოვასწოროთ ყოველივე, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის?

იყო დრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, არსებობდა მეორადი განყოფილება, სადაც სხვადასხვა პროფესიების სტუდენტებს (უფრო ფილოლოგებს) შეეძლოთ, დამატებით მიეღოთ ჟურნალისტური განათლება. დღევანდელი გადასახედიდან ვერ გეტყვით, რომ ყველაფერი იდეალურად გახლდათ, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარემოს, მიზანს, ურთიერთობებს, ლექტორებს, ამ სფეროში მოღვაწე კორიფეებს, პროფესიისადმი დამოკიდებულებას და ასე შემდეგ. მე პირადად ბედნიერი ვარ, რომ მომიწია იმ გარემოში ყოფნა, სადაც მოღვაწეობდნენ ნოდარ ტაბიძე, ნიკო ლეონიძე, ელდარ იბერი, შოთა გაგოშიძე, რამინ ჭელიძე და სხვები (1986–1992). ეს თითქმის აღარ იყო საბჭოთა პერიოდი, ეს იყო გარდატეხისა და ქარტეხილების პერიოდი და სწორედ ამ დროს „აიშვა“ კიდევაც ქართულმა პრესამ თუ ტელევიზიამ. როდესაც (2003 წ.) ამ ქვეყნის ხელისუფლებაში ამაოხრებლები მოვიდნენ, გადაწყვიტეს, ყველაფერთან ერთად ეს სფეროც აეოხრებინათ და სახელმწიფო უნივერსიტეტში მიავლინეს ვინმე დავით პაიჭაძე. ფაკულტეტის დეკანი ნოდარ ტაბიძე ჯიკავ-ჯიკავით გაუშვეს და მის ადგილზე დასვეს დავითი, ოღონდ მას აღარ ეწოდა დეკანი, უბრალოდ დაარქვეს მიმართულების მენეჯერი. გავიდა ცოტა დრო, ჩაატარეს რეფორმა, გამოშიგნეს ფაკულტეტი და გამოაცხადეს კონკურსი პროფესორობის მსურველთათვის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ბატონმა ნოდარმაც გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო კონკურსში. ჰკითხეს კომისიის წევრებმა ბრძნული გამომეტყველებით: აბა, თუ გვეტყვით, ჟურნალისტიკის ხერხემალი რა არისო? რა თქმა უნდა, პუბლიცისტიკაო, მიიღეს პასუხად. ჰა, ჰა, ჰა, რას ბრძანებთ, პუბლიცისტიკა კი არა, ინფორმაციის მოპოვება და გავრცელებააო, ძლივს მოითქვეს სული კომისიის წევრებმა, იცინოდნენ და იცინოდნენ. ჩაჭრეს ბატონი ნოდარი, რომელმაც საზოგადოებას არაერთი ცნობილი ჟურნალისტი აღუზარდა, არ იცითო, არაფერი გაგეგებათო, აზრზე არ ხართო. ეს ერთი დეტალია, ამნაირი ბევრი იყო და ყველაზე მთავარი კი ის გახლდათ, რომ ამ ქვეყანაში იშვა, ერთი შეხედვით საინფორმაციო საშუალება, სინამდვილეში კი რაღაც მონსტრი, რომელიც მუშაობდა იმავე მეთოდებით, რასაც ასწავლიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ მონსტრს სახელად ეწოდა და დღემდე ჰქვია „რუსთავი 2“. გინდა, იყო წარმატებული ჟურნალისტი? მაშინ შეეშვი წიგნებში ქექვას, განათლებაზე ფიქრს, აიღე მიკროფონი, „კასტუმზე“ დაიმაგრე ფარული ვიდეო-კამერა და გაიარე შანტაჟის კურსი. იმას, რასაც „რუსთავი 2“-ში ასწავლიდნენ, ვერ ნახავდით და ვერ ისწავლიდით ვერც ერთ უნივერსიტეტში. ერთხელ ეროსი კიწმარიშვილმა თქვა კიდეც, მე არ მჭირდება პროფესიონალი ჟურნალისტები, მე მჭირდება ჩამოუყალიბებელი ადამიანები, რომლებსაც ჩემებურად გამოვძერწავო. ძერწა და ძერწა წლების განმავლობაში კიწმარიშვილმა ჩამოუყალიბებელ-გაუწონასწორებელი ტიპები თავის ჭკუაზე და მივიღეთ... მაგალითად, აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელმაც ისეთი ბოროტება ჩაიდინა, საერთოდ აღარ უნდა ჩნდებოდეს საზოგადოებაში, მაგრამ ენა აქვს წაგრძელებული და კიდევ ჟურნალისტობაზე აქვს პრეტენზია. შევარდნაძის მეორედ მოსვლის პერიოდში, სწორედ ამ ბერიკაცის ხელში გამოიზარდნენ ტერორისტები, რომლებმაც შვეს „რუსთავი 2“ და რომელმაც შემდგომში შვა არაერთი ფსიქო-ტერორისტი. ერთი კია, როგორც წესი, შევარდნაძის გაზრდილთა მიერ ნაშობმა მონსტრმა იქით გადასანსლა შევარდნაძე და პანჩურის რტყმით გააგდო სახლში.

დრო გადიოდა... იმას აღარ მოვყვები, როგორ ააოხრა სააკაშვილის ხროვამ ქვეყანა და როგორ აატიალა ე.წ. ქართული მედია. აქ ტელევიზიებზეა საუბარი, თორემ ბეჭდურ მედიას მაინც ჰქონდა გასაქანი, დემოკრატიის ხათრით მაინც არ ერჩოდნენ, თან არც ისე საშიშად ეჩვენებოდათ. „რუსთავი 2“ თავიანთ არეალში თავიდანვე მოაქციეს, ეროსი კიწმარიშვილს რამდენიმე მილიონი მიუგდეს და რუსეთში ელჩად გაუშვეს. ვისაც ამ ტელევიზიაში ცოტაოდენ ნამუსი ჰქონდა შერჩენილი, გააგდეს და დანაკლისი ახალი ქვეწარმავლებით შეავსეს. მეთოდები და მიდგომები იგივე იყო, წინა პლანზე არაპროფესიონალთა და ყველაფერზე ხელის მომწერთა წამოწევა.

შემდეგი ბასტიონი, რომელიც ხელს უშლიდა სააკაშვილის ბანდას, გახლდათ ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზია „იმედი“. თქვენ იცით, რა მოხდა და როგორ განხორციელდა მისი დაპყრობა. მას შემდეგ, რაც 2007 წლის 7 ნოემბრის ღამეს ნიღბიანებმა „დუბინკებით“ ანდერძი აუგეს ყველას და ყველაფერს, გივია თარგამაძემ ჟურნალისტები სათითაოდ დაიბარა და ზოგი ფულით, ზოგი შანტაჟით, ზოგიც დაპირებებით გადაიბირა და მიხეილ სააკაშვილის ხასიათსა თუ პოლიტიკურ ბაგაზე მიაბა.

პირველად ტელევიზია, როგორც სახელმწიფო გადატრიალების იარაღი, გამოიყენეს 1991–1992 წლებში. სახელმწიფო მაუწყებლობაში ჩაბუდებულმა ე.წ. ელიტამ ხელში ჩაიგდო ერთადერთი ელექტრონული მედიასაშუალება და დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. მეორედ „რუსთავი 2“, როგორც გადატრიალების იარაღი, გამოიყენეს 2003 წელს. ორჯერ გაამართლა და ყოველ გამართლებამდე ტელევიზია იყო არა საინფორმაციო საშუალება, არამედ პოლიტიკური და ფსიქოლოგიური იარაღი. თუ სააკაშვილმა ეს იარაღი თავის სამსახურში ჩააყენა და ასე ვთქვათ, თავის სასარგებლოდ დაასტაბილურა, 2012 წლის არჩევნების წაგების შემდეგ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ აამოქმედა. მეტიც, თუ წაგების შემდეგ ხელში მხოლოდ „რუსთავი 2“ შერჩა, მოგვიანებით მას „ტვ პირველი“ და „იბერია“ ჩაუბა, ხოლო უბადრუკი „კავკასია“ თავისი სურვილით ჩაება. აი, ამ სამმა თუ ოთხმა ტელევიზიამ, ანუ ამ სამი ტელევიზიის მეპატრონეებმა დაგეგმეს, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე შეეცვალათ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება. არჩევნებამდე საქმე არ უნდა მისულიყო, თორემ წაგება გარანტირებული იქნებოდა. აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია საგულისხმო... ტიპები, რომლებმაც ცოტაოდენი ფული იშოვეს, იმ დონემდე გაბრიყვდნენ, რომ იფიქრეს, ახლა კი დროა, არაერთხელ ნაცადი სქემა ავამუშავოთ და დღევანდელი ხელისუფლება ჩამოვიშოროთო. დაუკვირდით, სქემა იგივეა: რევოლუციის მთავარი ფორპოსტი – გაყიდული ტელევიზიები, გაყიდული და ავანტიურისტი ე.წ. ჟურნალისტები, რომლებსაც შეუძლიათ, თავადვე შექმნან დაძაბულობის კერები, მაყურებელს შეუქმნან ილუზია, თითქოს მთელი საქართველო რუსთაველზეა გამოსული, თითქოს იქცევა ქვეყანა, თითქოს ბიძინა ივანიშვილი ჩახტა თავის კერძო თვითმფრინავში და უკვე დატოვა საქართველოს ტერიტორია. აი, მივედით ისევ იქ, საიდანაც საუბარი დავიწყე – ამ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ე.წ. ჟურნალისტიკა, რომლის საფუძველიც გახლავთ არაპროფესიონალიზმი, უვიცობა, უწიგნურობა, არაეთიკურობა, უზრდელობა და ასე შემდეგ. როდესაც ვახსენებ არაპროფესიონალიზმს, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სხვანაირ „პროფესიონალიზმს“, ანუ ავანტიურიზმს. მაგალითად, სადმე, საქართველოს რომელიმე რეგიონში მოხდა მკვლელობა, ვინმე ავაზაკმა მოკლა მეზობელი, როგორ აშუქებდა ამ უსიამოვნო მოვლენას „რუსთავი 2“ და როგორ გვამცნობდა (გვამცნობს) ამ ახალ ამბავს „ტვ პირველი“? სიუჟეტი აუცილებლად იწყება ჭირისუფალთა გნიასით, შემდეგ ახლო პლანით გვიჩვენებენ მოკლულს, ჟურნალისტი გამოთქვამს ვარაუდს... პრინციპში, ვარაუდს კი არა, შეუვალი გამომეტყველებით იწყებს მტკიცებას, რომ მკვლელი შეიძლება იყოს ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირის დეიდაშვილის ქვისლის ბავშვის ნათლია და ვინაიდან ის პირდაპირ თუ ირიბად ენათესავება ივანიშვილს, მას არ დაიჭერენ. სიუჟეტი სრულყოფილად არ ჩაითვლება, თუ ბოლოს კომენტარები არ გააკეთეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ამ მხრივ ყველაზე ეფექტურნი არიან ეკა გიგაური და სულხან სალაძე. მათთვის აუცილებელი არ არის საკითხში გარკვევა, მათ პასუხები ყოველთვის მზად აქვთ: „იცით, ქვეყანაში არსებობს შერჩევითი სამართლის ნიშნები, რაც ბადებს უამრავ შეკითხვას“. აი, დღევანდელი სტანდარტი და „პროფესიონალიზმი“, სადაც დევს ყველაფერი, თუ რა სურთ, მაგალითად, ავთანდილ (ჭუტა) წერეთელს და მის ძმაკაც მამუკა ხაზარაძეს, რომლებმაც „ტვ პირველი“ „რუსთავი 2“-ის სატელიტად აქციეს და ნიკა გვარამიასთან ერთად ხელისუფლების დამხობა გადაწყვიტეს.






**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**გაგრძელება იქნება**






# ჩასაძირად განწირული გემიდან პირველები ვირთხები გარბიან!

მავანთათვის „გულგასაგმირი“ შეტყობინება, რომ ამერიკული „კონტი ჯგუფი“ ანაკლიის პორტის პროექტიდან გავიდა, ინფორმაცია ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან ახვლედიანმა დაუდასტურა.

სანამ, დედოზარებს დაარისხებდნენ, ოპოზიციის და სამთავრობო პროვოკატორები – „უი, ეს რა დაგვმართნიაო!..“

მათ საყურადღებოდ ვაცხადებ:

ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ ყოფილა!

მე უფრო ის მიკვირდა, – აქამდე რომ არ გადადგა ეს ნაბიჯი ამერიკელმა კურტ კონტიმ!

მაგრამ, არც ის იყო გაუგებარი, რატომ აგვიანებდა:

– კაცი, რომელიც 2014 წლის 27 ოქტომბრიდან (ხაზარაძე-კონტის ერთობლივი კომპანიის დარეგისტრირების თარიღი საჯარო რეესტრში) დღემდე ბლეფს თამაშობდა კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძესთან ერთად და მათთან ერთად დაღუპა ქართული ეკონომიკის გადარჩენის ერთადერთი რეალური პროექტი „ანაკლია პორტი“, ბოლო წუთამდე ელოდა, – იქნებ კიდევ იყო შანსი, რამე სარფისთვის გამოეკრა ხელი!

სამწუხაროდ, სახელმწიფოს ხელისუფალთა მხრიდან, ქვეყნისადმი მსგავსი ღალატის შეწყნარებამ კერძო სტრუქტურების მიმართ, შემდეგ დასკვნამდე მიმიყვანა:

მეოთხე დღეა, ჩემთან ტელეფონის ზარები არ წყდება, ყველა ერთი და იგივეს მეკითხება:

– რა ხდება ანაკლიაში?

– რატომ დატოვა „კონტი ჯგუფმა“ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“?

ვისაც ჩემი სტატიები წაუკითხავს „ანაკლია პორტზე“, მათთვის ახალი არაფერი მომხდარა:

– უფულო ამერიკელმა თაღლითმა, როცა საბოლოოდ გადაეწურა ფულის შოვნის იმედი ქართველ თაღლით ხაზარაძესთან ერთად და შეატყო, ფული კი არა, გამოუვალ შარში შეიძლება გაეხვეს, თავს უშველა!

როგორც იტყვიან, – როცა გემი იძირება, პირველები, ვირთხები გარბიან!

ჩემთვის არ არის გასაკვირი, – ქართველ ვირთხას რომ ამერიკელმა ვირთხამ გაასწრო!

მკითხველს ვთხოვ, ყოველ ჩემს სიტყვას სრული სერიოზულობით მოეკიდოს. აქ, მარტო ადამიანებად წოდებული ვირთხების გაქცევა-გამოქცევასთან არ გვაქვს საქმე, – ამ ვირთხებმა საქართველოს ათასწლეულის პროექტი დააკარგვინეს, რომელიც სანდო ხელში მოხვედრის შემთხვევაში უპრობლემოდ აშენდებოდა და ქვეყნის და მისი მოსახლეობის სასარგებლოდ იმუშავებდა.

გასულ, 9 ივნისს, „საერთო გაზეთში“ გამოვაქვეყნე სტატია სათაურით:

„სამი აფერისტის ხელში ჩაძირული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი!“

სადაც, კიდევ ერთხელ ვამხილე, ქართველი სამთავრობო და საბანკო აფერისტების ტრიო, „კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძე.

როგორც დღეს გახდა ცნობილი, მათ ოფიციალურად გამოაკლდა ამერიკელი თაღლითი და აფერისტი, კურტ კონტი, რომელიც, 2016 წლის 5 თებერვალს, „ანაკლია პორტის“ ტენდერის გამარჯვებულად ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გამოცხადებისას, საქართველოს მოსახლეობას, ამერიკელ ინვესტორად შემოასაღეს!

ყველაზე უკეთ, ამერიკელმა კურტ კონტიმ იცოდა, რომ, მას, – არათუ რამდენიმე მილიარდიანი პროექტის, მდინარე თიქორზე გასადები ბოგირის ფული არ ჰქონდა, მაგრამ იგი ქართველ სახელმწიფო და საბანკო თაღლითებს დათანხმდა, ამერიკელის აბლაბუდაში გაეხვია საქართველოს მთავრობა და მისი მოსახლეობა და 2014 წლიდან, ხაზარაძის კონსორციუმის ამერიკელი ცრუ ინვესტორის როლი ითამაშა!

ყურადღებას ნუ მიაქცევთ ოპოზიციის მიერ მოსყიდულ ე.წ. „ექსპერტებს“ — ამერიკელი თაღლითის, ანაკლიის პროექტიდან გასვლას, ამერიკელი ინვესტორების დაშინებად რომ წარმოაჩენენ, მაშინ, როცა, ნამდვილმა ამერიკელმა ინვესტორმა, ჩვენზე უკეთ იცის რას წარმოადგენს ე.წ. „კონტი ჯგუფი“ და რისი შემძლეა იგი!

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა – ქვეყანაში არცერთი საქმის „ექსპერტი“ არ არსებობს, ამად იწოდებიან ის ნაძირალები, რომლებიც ყველაფერს მოაწერენ ხელს, ფულს თუ გადაუხდიან!

ყოველ შემთხვევაში,– „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებაში, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები, პირდაპირი დადასტურებაა იმისა, რომ კონკრეტულ საქმეზე საუბრობენ ადამიანები, რომლებსაც არასოდეს ამ საქმესთან ურთიერთობა არ ჰქონიათ!

სტატიის დამთავრებას ვერ ვასწრებ, იმდენი ახალი ინფორმაციები შემოდის „ანაკლია პორტზე.“ ამჯერად აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქალ-





ელიზაბეთ რუდი

ბატონი ელიზაბედ რუდი გააქტიურდა ამ მიმართულებით (იხ. ლინკი **https://www.facebook.com/AnakliaPort/photos/a.153753148365921/606204343120797/?type=3&theater**).

ბუნებრივია, მაღალი დონის დპლომატს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

ის, რომ ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმიდან“ ახლახანს გასული, ამერიკელი კურტ კონტი, ხაზარაძისნაირი თაღლითია და მას არსად და არასოდეს ინვესტიცია არ განუხორციელებია, უბრალო მიზეზის გამო:

— მას არასოდეს ჰქონია საამისო ფული, ეს თუ აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა ელიზაბედ რუდმა არ იცის, – ცუდადაა მისი საქმე!

თუ იცის და ჩვენ გვიმალავს, მაშინ, – ჩვენი საქმეა ცუდად!

მოვისმინოთ ქალბატონი რუდის განცხადება:

„ანაკლიის პორტი აძლიერებს



კურტ კონტი

საქართველოს, როგორც სავაჭრო-სატრანსპორტო ჰაბის პოტენციალის გამოყენებას. გვჯერა, რომ ეს პროექტი უნდა შესრულდეს ამერიკული ინვესტიციით, რადგან მას შეუძლია იყოს ეკონომიკის სფეროში საქართველოსა და აშშ-ს შორის ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი ნაწილი”.

სასიამოვნოდ მოსასმენია, მაგრამ, აქაც, ფაქტებს ვერ გავექცევით:

„ანაკლია პორტმა“ მაშინ დაკარგა თავისი უნიკალური „სავაჭრო-სატრანსპორტო ჰაბის პოტენციალი“, როცა აშშ-მ განაცხადა, – ამ პროექტში გამორიცხულია, როგორც რუსეთის, ასევე ჩინეთის მონაწილეობაო!

რუსეთი გასაგებია!

მაგრამ, „ახალი აბრეშუმის გზის“ უმნიშვნელოვანესი ნაწილის (2019 წლამდე ასე იყო ყველგან ნახსენები) „ანაკლია პორტის“ პროექტიდან ჩინელების (მსოფლიოში ცნობილი, სახელმწიფო გიგანტი „ფაუერ ჩაინა“) გამორიცხვა, რომლებიც „ანაკლია პორტის“ ტენდერის გამარჯვებულის გამოცხადებამდე, კონსორციუმ „ანაკლია პორტი და ეკო პარკში“ შემავალი ტენდერის ერთერთი სერიოზული მონაწლე (საბანკო და სახელმწიფო ინსტიტუტების წერილობითი დასაბუთებით) დაფინანსების, აშენების და მისი წარმატებული მუშაობის გარანტიას იძლეოდნენ, როგორ უნდა ავუხსნათ, საქართველოს მოსახლეობას, ასეთი ინვესტორის პროექტიდან გაგდება?!

აშშ, რომელსაც დღეღამეში ორი ჩემოდანი ტვირთი არ ექნება პორტის არცერთ მხარეს გასაგზავნი, რატომ და ვისთვის აშენებს მას?

სხვა საქმეა აშშ-ს სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობა, რომელიც, სამწუხაროდ (იქნებ საბედნიეროდ?), იმდენად „გაბაზრდა“ ნაკლებად მოსალოდნელია, ღიად და დაუფარავად „საქართველოს უპირველესმა პარტნიორმა“ მასში ფული ჩადოს!

თუ ეს ასეა, ბუნებრივია, სხვა გზა უნდა მოიძიოს აშშ-მ ბოლო ვარიანტის განსახორციელებლად!

დაფიქრდით, ამიტომაც ხომ არ ამყოფებს გაუგონარი წნეხის ქვეშ ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ საქართველოს მთავრობას?

ცალსახად ცხადია, – ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ამას მარტო ვერ შეიძლებდა და ვერ გაუბედავდა ქვეყნის მთავრობას, პროექტის გასაგრძელებლად მოეთხოვა საბანკო და ტვირთების გარანტიები, რაც მას ტენდერში მონაწილეობის სურვილისთანავე უნდა წარედგინა სატენდერო კომისიისთვის!!

– ვინ დგას მის უკან, ვინ აგულიანებს მას?

– გამორიცხულია, ეს რუსეთი ან ჩინეთი იყოს!

– მაშ, ვინ დარჩა?

ერთადერთი გზა გვრჩება, ვკითხოთ საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ელიზაბეტ რუდს:

ვისი ზურგით ატერორებს საქართველოს მთავრობას ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ რომელმაც (სამი წელი მიილია „ანაკლია პორტის“ მშენებლობის საერთაშორისო ტენდერის მოგებიდან), დღემდე ტენდერით დადგენილი ვერცერთი პირობა ვერ შეასრულა, არცერთი თეთრი ჯარიმა არ გადაუხდია სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირგასამტეხლო და რომ იტყვიან, იმდენად უტიფრად იქცევა – კედელთან აყენებს საქართველოს მთავრობას: ფული მოიტა, თორემ გიჩივლებო!

იმედი ვიქონიოთ, საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქ-ნი ელიზაბეტ რუდი, მისი წინამორბედების მსგავსად, მრუდ პასუხს არ გაგვცემს და სიმართლეს გვეტყვის!

**დავით ქობალია**
598 70 86 00



# დღეს კაცობრიობა უფრო ავადაა, ვიდრე 30 წლის წინათ იყო

„რეცესია ცუდია, მაგრამ მკაცრი ეკონომიის პოლიტიკა კლავს“, აცხადებენ ევროპელი მეცნიერები რომლებიც ათი წელი იკვლევდნენ ეკონომიკური პოლიტიკის ადამიანთა ჯანმრთლობაზე ზემოქმედებას. მკაცრი ეკონომია რომელიც გამოწერილი იყო როგორც წამალი კრიზისგან განსაკურნებლად ამ კრიზისზე ბევრად უარესი აღმოჩნდა.

მას შემდეგ რაც საბერძნეთის მთავრობამ ჯანმრთელობის ბიუჯეტი შეამცირა ორმოცი პროცენტით, თვითმკვლელობათა დონე, რომელიც ტრადიციულად ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო ევროპაში, გაორმაგდა.

ვითარებამ დააფიქრა და შეაწუხა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაც რომელმაც აპრილში შეკრიბა ევროპის მრავალი მაღალი დონის ხელმძღვანელი... უმუშვრობამ ევროპაში 2012 წელს მიაღწია 10,5%-ს, პორტუგალიაში, საბერძნეთში და ესპანეთში 25%-ს ანუ ორი ახალგაზრდიდან ერთი უმუშევარი იყო. განგაში ატეხეს წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციამ და წითელმა ნახევარმთვარემ:“ ღარიბ მუშამოსამსახურეთა რაოდენობა იზრდება, ფართოვდება მდიდრებს და ღარიბებს შორის არსებული უფსკრული, საშუალო კლასები სუსტდებიან“, უსვამს ხაზს კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი ლასე ნორგარდი. შედეგი, ევროპაში ათწლეულების მანძილზე თვითმკვლელთა რაოდენობა მცირდებოდა, ეხლა კი, პირიქით, იზრდება. განსაკუთრებით თავს იკლავენ შრომის ასაკის მამაკაცები. ამის შემყურე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ამბობს რომ რთულ პერიოდში საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განკუთვნილი ფონდების დაცვა. დევიდ სტეკლერს მოყავს მრავალი მაგალითი რათა ხაზი გაუსვას სოციალური დაცვის, განსაკუთრებით შვედეთის მაგალითის ღირსებებს. 1990-ან წლებში კრიზისული პერიოდის გავლისას მთავრობამ გადაწყვიტა ინვესტირება სამუშო ადგილების შექმნის პროგრამებში. შედეგი: უმუშვრობის მუდამ მზარდი დონის მიუხედავად თვითმკვლელობათა რაოდენობამ იკლო. ინვესტირებული ფული ნაყოფიერია. მოქალაქეთა ჯანმრთელობაში ინვესტირებულ ერთ დოლარს სამი დოლარი მოაქვს ეკონომიკისთვის. ესაა ბრიტანელ სწავლულთა აზრი.

ცნობილი ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი, მკვლევარი და მწერალი ქალბატონი **კლოდ ალმო** ხუთი წლის წინ გამოცემულ ნაშრომში„ნუთუ ასე ცხოვრობენ ადამიანები?“ ამბობს-დღეს ველარავინ გაურბის ეკონომიკურ კრიზისს და ისიც აღარაფერს ერიდება. სამუშაოს დაკარგვა, სამუშაოს დაკარგვის შიში, მოხმარების შესაძლებლობათა შაგრენის ტყავივით შემცირების დანახვა, სხვათა უბედურებების მოწმედ ყოფნა და შიში, რომ გაუბედურდები თვითონ. დღევანდელ ადამიანს ემართება ის რაც უბრალო სტრესზე უფრო მძიმეა. ეს დარტყმები ანადგურებს ჩვენს არსს და არა მარტო ჩვენს ქონებას.



ეკონომიკური კრიზისი კი აჩენს გულების დამღრღნელ და გამხეთქ ფსიქოლოგიურ კრიზისს რომელიც ტანჯავს ადამიანთა სხეულს და თავს. არა და ამ კრიზისზე არ ლაპარაკობს არავინ. არ ლაპარაკობენ არც პოლიტიკოსები, არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და არც ფსიქოლოგ-ფსიქიატრ-ფსიქოთერაპევტები. ეს სიჩუმე კი ცუდ დღეში აგდებს ადამიანებს. მათ უჩნდებათ სირცხვილის გრძნობა რომელიც სრულებით უადგილოა. უთხრა ადამიანს რომ ავადმყოფია მსოფლიო და არა ის, რომ მას უჭირს ცხოვრება იმიტომ რომ ცხოვრებაა აუტანელი და არა იმიტომ რომ ის სუსტია ნიშნავს იმის თქმას რომ ადამიანმა უნდა იბრძოლოს და არ მოიკლას თავი. ამ კვლევის მიზანია ბოლოს მოღება ჩაჩუმებული ტანჯვისთვის, გამოთქმა იმისა თუ რა საშინელებას უშვრება კრიზისი ადამიანის ფსიქიკას იმისთვის რომ ვისწავლოთ წინააღმდეგობის უკეთესად გაწევა. უნდა ვილაპარაკოთ იმაზეც თუ რა საშინელ რამეს უშვრება კრიზისი ადამიანის ფსიქიკას. როდესაც საზოგადოება ხუთი ბავშვიდან ერთს აცხოვრებს სიღარიბის ზღურბლზე დაბლა ის აუბედურებს მილიონობით ადამიანს და კრიზისი ამავე დროს ცუდ დღეში აგდებს საშუალო კლასის წევრებსაც, მეტიც, შეძლებულებსაც. მათ, ეშინიათ რომ კრიზისმა შეიძლება დააკარგვინოს მათი სოციალური სტატუსი და ეს მათ აგდებს დეპრესიაში.

რატომ უნდა იყოს ეს სამყარო დღეს უფრო ავადმყოფი ვიდრე იყო ოცდაათი წლის წინ? პირველ რიგში იმიტომ რომ ეს გრძელდება უკვე მრავალი თაობაა. ათი წლის წინ მე ვმუშაობდი პარიზის ჩრდილოეთ გარეუბანში ბავშვებთან რომლებიც მარტო, საკუთარი თავის ანაბარა მიტოვებულები იყვნენ უკვე დილიდან. ისინი მარტო უნდა ამდგარიყვნენ. მათ მარტო, მშობლების თუ ახლობლების დახმარების გარეშე უნდა ჩაეცვათ. საუზმის დროს ისინი უნდა ყოფილიყვნენ მარტო. ისინი მარტო და სხვის თანხლების გარეშე უნდა წასულიყვნენ სკოლაში. რა შეფასება უნდა მივცეთ ბავშვების ასეთ მარტოობას, მაშინ როდესაც ბებია-ბაბუები, მშობლები, ძმები საერთოდ არ დგებიან დილით იმიტომ რომ მათ არა აქვთ სამუშაო.

ჩემი აზრით დღევანდელი კრიზისი საშინლად აისახება როგორც ბავშვების ასევე არასრულწლოვნების ფსიქიკაზე. ვერ შეიძინო მთელი მსოფლიო, ვერ შეიძინო ყველაფერი რაც გინდა ნორმალური მდგომარეობაა. მშობლებმა თავის ბავშვებს უნდა აუხსნან რომ მათი სურვილი არაა ყოვლისშემძლე. ამის გაკეთება შეიძლება. მაგრამ როგორ უნდა გახდე, როგორ უნდა იყო სრულფასოვანი ადამიანი როდესაც არ შეგიძლია არაფრის, თუნდაც აუცილებლის შეძენა?

ადრე, როდესაც შესაძლებელი იყო პატარა კაპიტალის დაგროვება ადამიანებმა იცოდნენ რომ მათ შეეძლოთ თავისი შვილების გაგზავნა კარგ სკოლაში სადაც ისინი ისწავლიდნენ კარგ ხელობას. დღეს კი აღარაფერია, აღარაფერია მსგავსი. ბავშვისთვის მომავლის ცნება სულაც არაა აბსტრაქტული და შორეული. „როდესაც ვიქნები დიდი..., როდესაც ვიქნები ჩემს ირგვლივ მყოფი დიდების მსგავსი...“, ამას ამბობს ყველა ბავშვი. მოზარდი ბავშვისთვის მოდელია, მისაბაძი ნიმუშია უფროსი და ეს აჩენს კითხვას: „მეუბნებიან რომ სკოლაში კარგად უნდა ვისწავლო, მაგრამ ჩემი დედ-მამა განა ცუდი მოწაფეები იყვნენ?“ უნდა დავიბრუნოთ კოლექტიური ბრძოლა, ესაა მთავარი. „ვიმედოვნებ რომ პოლიტიკოსები წაიკითხავენ ჩემს კვლევას და გაიგებენ რომ მათ არ ესმით ხალხის ტანჯვა“ – დასძენს კლოდ ალმო.



კლოდ ალმო: მე ვარ ფსიქოანალიტიკოსი და ვერაფერს ვიტყვი იმაზე თუ როგორ უნდა გამოვიდეთ ეკონომიკური კრიზისიდან. მაგრამ მე შემიძლია ვთქვა თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ კრიზისის ფსიქოლოგიურ შედეგებს რათა მოულოდნელად უცებ ყველამ ერთდროულად არ მოიკლას თავი. ეს ნაშრომი უნდა იყოს სიჩუმის დარღვევის იარაღი...ჯერ-ჯერობით კი უმუშევრებს არ შეუძლიათ შრომის მედიცინით სარგებლობა სწორედ მაშინ როდესაც მათ ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. ეს დიდი უბედურებაა მათთვის. წლების წინ, მოკლული წყვილის შვილი გაშტერებული და მოტეხილი იპოვეს. რას ნიშნავს ეს? ამ ბავშვმა გადაიტანა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი რამე რაც შეიძლება გადაიტანოს ადამინმა. მის გვერდით დახოცეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები. კოშმარის მნახველი, ის გაშეშებული, ტეტანიზებული დარჩა.უკიდურესი, უმწვავესი ტკივილი აუტანელია ადამიანის ფსიქიკისთვის. იგივეს ვხედავთ ომებში სასაკლაოებში ან თვითონ ომებში. ესაა ნაწილობრივი თავდაცვა-შეკეტვა საკუთარ თავში. კოშმარს განვიცდით, მაგრამ გონებას ვთიშავთ თავი რომ არ გასკდეს. რას ეუბნება ასეთი ტერორისტული შეტევა საზოგადოებას?

მე თვითონ, ვისაც მინახავს საშინელებათა გადამტანი ბევრი ბავშვი, ტირილი მინდება ხოლმე ასეთი ტრაღედიის შესახებ გაგებისას. ალბათ ბევრია ჩემნაირი. მაგრამ ასეთი ამბები მიჩენს ბრძოლის სურვილსაც. უნდა წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ ბარბაროსობას. უნდა დავიცვათ ღირებულებები და ბავშვთა აღზრდა. ეხლა ჩვენს კართანაა ბომბები, მკვლელობები, ავტომატები. ესაა სინამდვილე და არა ავადმყოფი გონების ბოდვა. არ უნდა დავხუჭოთ თვალები ამ სინამდვილეზე, ჩვენ ვერ გავაქრობთ სინამდვილეს. უნდა დავუპირისპირდეთ ასეთ რეალობას. ძალადობის გახშირებასთან ერთად ფრანგებს ზოგჯერ ექმნებათ წარმოდგენა რომ მსოფლიო გიჟდება. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ზეწოლა, ტირილი არაა გამოსავალი. სხვა თაობებმა მოახერხეს ომის გადატანა. ჩვენც მოვახერხებთ ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ნახვას.უნდა მოვიფიქროთ რაღაცა. მაგრამ ჩვენ არა ვართ ჯადოქარ-ჯადოსნები და ამიტომ უნდა დავეყრდნოთ ერთმანეთს. უნდა ვისწავლოთ შეკრება, უნდა გავიხსენოთ კოლექტიური, საერთო, საზოგადო ინტერესი. უნდა ვისაუბროთ, ვისწავლოთ სხვებისგან. ესაა ჭიანჭველის შრომა, მაგრამ ბევრი ჭიანჭველა დააბამს სპილოს... ჭიანჭველების ბუდე ძალიან ეფექტურია.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# გმირობა, რომელიც ლეგენდად იქცა

## იოსებ ჟორდანიას შთამომავლები საქართველოში

ამასწინათ ერთ ჩემს მეგობარ კოლეგას ვესაუბრებოდი და ისე, სხვათა შორის მოვაყოლე ლაპარაკს — ჟორდანიას შთამომავლები არიან ჩამოსული და უნდა შევხვდე-მეთქი. რომელი ჟორდანიას, ნოეს შთამომავლებიო? — მკითხა. ნოეს კი არა, იოსების-მეთქი, ვუპასუხე. ჩემმა ძვირფასმა კოლეგამ, ცხადია, იცოდა, ვინ იყო იოსებ ჟორდანია, მაგრამ პირველი რეაქცია ნოე ჟორდანიას გახსენება იყო, თუმცა იოსებ ჟორდანია არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენს ისტორიაში. ამიტომ, სანამ შეხვედრის დეტალებზე მოგითხრობდეთ, მანამდე გაგახსენებთ იოსებ ჟორდანიას ღვაწლისა და მისი უჩვეულო გარდაცვალების შესახებ ამბავს, ანუ გმირობას, რომელიც ყველა ადამიანს არ შეუძლია...

იოსებ ჟორდანია გორში დაიბადა. დაამთავრა პეტროგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. რამდენიმე წლის შემდეგ კი თვით ამ აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელად დანიშნეს. მოღვაწეობდა მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიური კათედრის გამგის პოზიციაზე. მერე კი მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირის მთავარი გინეკოლოგის თანამდებობაზე.

გარკვეული დროის შემდეგ იოსებ ჟორდანიამ უარი თქვა კარიერულ წინსვლაზე და ერთ დღესაც თბილისში დაბრუნდა. დააარსა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც შემდგომ იოსებ ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაერქვა, მაგრამ ეს მოხდა მერე. მისი ტრაგიკული გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ.

ტრაგედია ატლანტის ოკეანეში მოხდა, ბრაზილიის ნაპირებთან, 1962 წელს.

პროფესორი რიო დე ჟანეიროდან პარიზის მიმართულებით მიმავალ თვითფრინავში იჯდა, როცა „ბოინგის" ძრავას ცეცხლი გაუჩნდა. თვითმფრინავში ერთი უბილეთო აღმოჩნდა, რომლისთვისაც, ცხადია, არ იყო გათვალისწინებული სამაშველო ჟილეტი. ეს უბილეთო მგზავრი პატარა გოგონა იყო. მას უყოყმანოდ დაუთმო თავისი ჟილეტი იოსებ ჟორდანიამ, რომელმაც ცურვა საერთოდ არ იცოდა...

როგორც ამბობენ, გოგონა გადარჩენილა და ქართველ მედიკოსებს, მერე უკვე ზრდასრული, თბილისში მოუწვევიათ. მას დიდი სურვილი ჰქონია დიდუბის პანთეონში დაკრძალული მისი სიცოცხლის გადამრჩენელის



საფლავის მონახულების, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას ამერიკის მოქალაქე ქალბატონისთვის ამის უფლება არ მიუცია...

2020 წელს იოსებ ჟორდანიას 125 წელი უსრულდება და მის მიერ დაარსებული რეპროდუქტოლოგიის ცენტრი, საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორის **არჩილ ხომასურიძის** ხელმძღვანელობით, ამ თარიღის აღნიშვნას დიდი პასუხისმგებლობით აპირებს.

წლეულს კი ინსტიტუტმა იოსებ ჟორდანიას შთამომავლებს უმასპინძლა.

საპატიო სტუმრებთან შეხვედრისას ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა არჩილ ხომასურიძემ აღნიშნა, რომ თბილისის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აგრძელებს ტრადიციას და ის ამ პროფილის დაწესებულებებს შორის დღემდე იკავებს წამყვან ადგილს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც.

— საზოგადოებას ჩვენშიც და სხვაგანაც ხშირად არაკეთილსინდისიერი ადამიანები უშლიან წინსვლას, მაგრამ საბედნიეროდ, არიან იოსებ ჟორდანიასნაირი გმირები, რომლებიც თავიანთი პირადი საქციელით და მოღვაწეობით პროგრესს იწვევენ. მრავალი ერისა და, ზოგადად, კაცობრიობის განვითარება ხშირად ლეგენდარული მაგალითების არსებობასა და გავრცელებასთანაა დაკავშირებული. მერე რა, თუ იოსებ ჟორდანიას მიერ გადარჩენილი ბავშვის ისტორიის ზოგიერთი დეტალი დაზუსტებას საჭიროებს, თუნდაც, სულაც ლეგენდას წარმოადგენდეს, ცუდი რა არის ლეგენდის არსებობაში?! მსგავსი ამბები მხოლოდ ხელს უწყობს ერს სულიერად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში", — აღნიშნა ინსტიტუტის დირექტორმა.

იოსებ ჟორდანიას შთამომავლები — რძალი რიინა და მისი ქალ-ვაჟი — გიორგი და მარიამი, რძალი და შვილიშვილები, გაფაციცებული ათვალიერებდნენ ინსტიტუტის ყოველ კუთხეს და კუნჭულს, სადაც იოსებ ჟორდანიას ფოტოები და ბიუსტი დღემდე საპატიო ადგილზეა და პაციენტებს, ორსულებს, ინსტიტუტის სტუმრებს — დიდებს და პატარებს ახსენებს და გონებაში უბეჭდავს, რომ არსებობდა კაცი, ვინც მთელი ცხოვრება, მეცნიერული ღვაწლით, შრომობდა იმისთვის, რომ ყველა ქალს რქმეოდა დედა, დედამიწას მოვლენოდნენ ჯანმრთელი პატარები. დაბოლოს, ეს იყო კაცი, რომელმაც ვინ იცის, რამხელა ძალისხმევით აჯობა საკუთარ თავს...



გმირობის მაგალითზე იზრდებიან თაობები...ხოლო იოსებ ჟორდანიას იდეების მიმდევარი ბრწყინვალე მედიკოსები თავდადებულად შრომობენ თბილისის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პროფესორ **არჩილ ხომასურიძის** ხელმძღვანელობით — ქალთა, დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობისთვის.

ესეც არის იოსებ ჟორდანიას პიროვნების და გმირობის უკვდავყოფა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი საღამო სმირნოვების სახელობის მუზეუმში



1881 წლის 2 სექტემბერს დაიბადა გრიგოლ ლორთქიფანიძე და 1937 წლის 2 სექტემბერს დახვრიტეს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება ტრადიციულად აღნიშნავს 2სექტემბერს. წელს კი ეს მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნა სმირნოვების სახელობის მუზეუმში, რაც მუზეუმის დირექტორის ქალბატონი ბაია ამაშუკელის კეთილი ნების გამოხატულება გახლდათ.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვა და რამდენიმე ძირითადი საკითხი მიმოიხილა გრიგოლ ლორთქიფანიძის მოღვაწეობიდან საზოგადოების პრეზიდენტმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა პაატა სურგულაძემ.

საინტერესო მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტმა ქალბატონმა თამარ დოლიძემ თემაზე „გრიგოლ ლორთქიფანიძის ძირითადი დებულებები საქართველოს ეკონომიკის შესახებ".

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ გელა საითიძე, რევაზ ბალანჩივაძე, გუბაზ მეგრელიძე, ნინო ჭალაგანიძე, ბაია ამაშუკელი, არჩილ კაპანაძე და გრიგოლ ლორთქიფანიძის შვილიშვილი მუსიკოსი ქალბატონი ნინო ლორთქიფანიძე.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საღამოს ესწრებოდნენ სასულიერო აკადემიის რექტორი მამა გიორგი ზვიადაძე და სამღვდელოების წარმომადგენლები.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაფუძნდეს გრიგოლ ლორთქიფანიძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი.

**გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრესსამსახური**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001